აფხაზეთის ასსრ მეჩაიეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

მოკრეფილია 28.100 ტონა ჩაის ფოთოლი.

მათი ახალი ვალდებულებაა დამატებით მოკრიფონ 1.500 ტონა ჩაის ნედლეული.

წყალტუბოელმა მეჩაიეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

მოკრეფილია 7.753 ტონა ჩაის ფოთოლი.

მათი ახალი ვალდებულებაა დამატებით მოკრიფონ 400 ტონა ჩაის ნედლეული.

მოგილოცავთ სახელოვან გამარჯვებას აფხაზეთისა და წყალტუბოს მეჩაიეებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 217 (12729)

კვირა, 15 სექტემბერი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

აფხაზეთის ასსრ და წყალტუბოელ მეჩაიეთა შესანიშნავი წარმატება

□ □ □

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს

აფხაზეთის ასსრ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და ჩაის მრეწველობის მუშაკებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, შეასრულეს პირობა და პირნათლად გაანაღდეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სახელმწიფოს ჩაბარდა 28.100 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 ათასი ტონისა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშების, სახელოვანი მოწინავეების — მეჩაიეების, სპეციალისტების დიდი შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა მუშაკებს ახალ წარმატებებს ჩაის წარმოების გადიდებასა და დამზადებაში და გამოთქვამენ რწმენას, რომ აფხაზეთის მშრომელები თავიანთი თავდადებული შრომით მიაღწევენ ჩაის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ჩაის ფოთლის, მარცვლეულის, ციტრუსების, თამბაქოს, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს საწარმოო სამმართველოს, რაიაღმასკომს

წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის მრეწველობის მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიმდინარე წელს დიდ წარმატებას მიაღწიეს, პირნათლად შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება.

სულ სამმართველოს კოლმეურნეობებმა 14 სექტემბრისათვის სახელმწიფოს ჩააბარეს 7.758 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 6.300 ტონისა და კვლავ განაგრძობენ ფოთლის კრეფასა და ჩაბარებას.

წყალტუბოს სამმართველოს მეჩაიეთა ასეთი წარმატება მოპოვებულია კოლმეურნეთა — სახელოვან მოწინავე მეჩაიეთა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების და საწარმოო სამმართველოს დიდი მუშაობის შედეგად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მეჩაიეობაში მოპოვებული წარმატებისათვის და იმედს გამოთქვამენ, რომ ისინი ასეთივე წარმატებით შეასრულებენ მარცვლის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმებს და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სურათებზე: მოწინავე მეჩაიეები (მარცხნიდან) ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გულკა შოუა, გალის საწარმოო სამმართველოს მუხურის კოლმეურნეობის წევრი ციალა ბალიშვილი და წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს გუმბრის კოლმეურნეობის წევრი ოლია უშვერიძე.

ჩვენი პატაკი

საუბარი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. მ. ბღაჟბასთან

როცა „მწვანე ოქროს" კრეფის სეზონი იწყებოდა, აფხაზეთის მეჩაიეებმა პირობა დადეს ვადაზე ერთი თვით ადრე შეესრულებინათ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა — მოეკრიფათ 27 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

აფხაზეთის მეჩაიეებმა ყოველგვარ ამინდში და განუწყვეტელი კრეფის შედეგად სასახელოდ შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა.

მეჩაიეები მიღწეულს როდი დასჯერდნენ. საქართველოს კპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის ზევით მოეკრიფათ ათასი ტონა ჩაის ნედლეული.

შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად აფხაზეთის მეჩაიეებმა ვალდებულებაც ვადაზე ადრე — 14 სექტემბრისათვის სასახელოდ შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მოკრიფეს და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 1.100 ტონა „მწვანე ოქრო", სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 28.100 ტონა ჩაის ფოთოლი.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში დიდი წვლილი შეიტანეს გალის, ოჩამჩირისა და გუდაუთის საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. გალელებმა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 640 ტონა ჩაის ნედლეული, ოჩამჩირელებმა — 420 ტონა, ხოლო გუდაუთელებმა — 170 ტონა.

აფხაზეთის მეჩაიეთა გამარჯვებაში სასახელო წვლილი აქვთ შეტანილი გალის საწარმოო სამმართველოში შემავალ სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს რ. შონიას, ი. ლემონჯავას, ს. მირცხულავას, ბ. შამათავას, ლ. ბაგრიშვილს, შ. ჯუმუტიას, ჰუბურხინჯის კოლმეურნეობის წევრს ციალა ყოლბაიას, აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მუშებს ნ. უბირიას, ც. გოგოხიას, სოფელ მუხურის კოლმეურნეობის წევრს ციალა ბალიშვილს, ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოში შემავალ სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ალ. ვოუბას, სოფელ გვალის კოლმეურნეობის წევრს გულკა შოუას, გუდაუთის საწარმოო სამმართველოში შემავალ სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის წევრს დ. ხუპორიას და მრავალ სხვას.

სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით კიდევ 1.500 ტონა „მწვანე ოქრო" — სამშობლოს! ასეთი დევიზით მუშაობენ ახლა აფხაზეთის მეჩაიეები. გუშინ მათ ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 60 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ჩვენი სიტყვა და საქმე

საუბარი წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანთან ამხ. ო. აბესაძესთან

შვიდწლედის მეხუთე წლის სეზონში წლიური გეგმის ზევით მოვკრიფოთ და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩავაბაროთ 1.300 ტონა „მწვანე ოქრო!" — ასეთი დევიზით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ჩვენმა მეჩაიეებმა სიტყვა არ გატეხეს. 14 სექტემბრისათვის მოკრეფილია 7.753 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 6.300 ტონისა. ფოთლის კრეფა კვლავ გრძელდება. მეჩაიეთა ახალი ვალდებულებაა კიდევ მოკრიფონ 400 ტონა ნედლეული.

მთელ რაიონში სახელი მოიხვეჭა მეჩაიე ოლია უშვერიძემ. მას სოფელ გუმბრის კოლმეურნეობაში 0,5 ჰექტარზე წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 2.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ვალდებულებით — 6 ათასი. ფაქტიურად ო. უშვერიძემ პირობა ვადაზე 20 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა — მოკრიფა 7.300 კილოგრამი ფოთოლი.

სოფელ ქვილიშორში თავი გამოიჩინა ქსენია კუხალეიშვილმა, მან ისე მოაწყო მუშაობა, რომ 0,5 ჰექტარზე გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრეფილი ჰქონდა 7 ათასი კილოგრამი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა.

სასახელოდ მუშაობენ და ჩაის ფოთოლს დამატებითი ვალდებულების ანგარიშში კრეფენ სოფელ რიონის კოლმეურნეობის წევრები გუგული ტაგიძე და ანეტა ხურციძე, სოფელ ცხუნკურის კოლმეურნეობის მეჩაიე შურა ჯიმშელეიშვილი, სოფელ ქვილიშორის კოლმეურნეობის წევრი თამარ გოგოძე და სხვები.

გუშინ რაიონში წლიური გეგმის ზევით მოიკრიფა 34 ტონა ჩაის ფოთოლი.

აფხაზეთის ჩაის პლანტაციებს ეწვია ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო".

სურათზე: ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო" აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.
(ფოტო საქდესისა).

ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე ეწვია რუსთავის პროფტექნიკურ სასწავლებელს

13 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ეწვია რუსთავის № 3 პროფტექნიკურ სასწავლებელს. იგი გაეცნო სწავლების საქმეს, იყო საერთო საცხოვრებელში, ლაბორატორიებში.

შემდეგ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე შეხვდა კუბელ ახალგაზრდებს, რომლებიც ერთი წლის მანძილზე სწავლობდნენ რუსთავში და 13 სექტემბერს ჩააბარეს უკანასკნელი გამოსაშვები გამოცდა. შეხვედრის დროს კუბელი ახალგაზრდობის ჯგუფის ხელმძღვანელმა ორესტე მოია ბერმუდესმა და სტუდენტმა რეინალდო მორალეს რომანმა მხურვალე მადლობა გადაიხადეს კუბელებისათვის ზრუნვის გამო, იმ შესანიშნავი პირობების გამო, რომლებიც მათ შეუქმნეს სწავლის დროს.

მალე თავისუფლების კუნძულის ჭაბუკები გაემგზავრებიან საქართველოდან და სამშობლოში დაბრუნდებიან. ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ უსურვა მათ ბედნიერი მგზავრობა და დიდი წარმატებანი სოციალისტური კუბის მშენებლობის საკეთილდღეოდ, კუბელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძესთან ერთად რუსთავის პროფტექნიკურ სასწავლებელს ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარე შ. ი. ჭანუყვაძე, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. თ. ჩიხლაძე, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, რუსთავის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ნ. პ. ებრალიძე და კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ო. ა. წვერავა. (საქდესი).

კუბელი ახალგაზრდობის ჯგუფმა მიიღო დიპლომები

14 სექტემბერს 75 კუბელმა ახალგაზრდამ, რომლებიც ერთ წელიწადს სწავლობდნენ რუსთავის № 3 პროფტექნიკურ სასწავლებელში, საზეიმო ვითარებაში მიიღო სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა და მევენახეთა დიპლომები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგმა რ. ურუშაძემ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ჩიხლაძემ და სასწავლებლის დირექტორმა გ. წურკავამ, რომლებიც საღამოზე გამოვიდნენ, კუბელ ახალგაზრდებს უსურვეს დიდი წარმატებანი შრომაში თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ, გამოთქვეს რწმენა, რომ საქართველოში შეძენილი ცოდნა დაეხმარება მათ თავიანთი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

საბჭოთა მთავრობას, საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სასწავლებლის პედაგოგთა მთელ კოლექტივს მხურვალე მადლობა უძღვნა კუბელი ახალგაზრდობის ჯგუფის ხელმძღვანელმა ორესტე მოიამ, რომელმაც გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. რუსთავისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი ესპანურ ენაზე წაიკითხა ოსკარ მორეირამ.

გამოსაშვებ საღამოზე იყვნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. გურგენიძე, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი დ. ეგოროვი, კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. წვერავა და სხვები. (საქდესი).

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

16 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე ჩვენი რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მოეწყობა ანგარიშგება-არჩევნები, 1 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე კი გაიმართება რაიონული, საქალაქო, საოლქო, საწარმოო სამმართველოებისა და სამრეწველო ზონების პარტიული ორგანიზაციების კონფერენციები. ის პარტიული ორგანიზაციები, რომელთა პარტიულ კომიტეტებს არ გასვლიათ სკკპ წესდებით განსაზღვრული რწმუნების ვადები, თავიანთ პარტიულ კონფერენციებზე განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხს და აირჩევენ საქართველოს კპ XXII ყრილობის დელეგატებს.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები უაღრესად ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჩვენი პარტიის საფუძვლის — პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. იგი აჯამებს საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგებს და სახავს მომავლის ამოცანებს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ყოველი ასეთი კრების მომზადებისა და ჩატარების დროს კომუნისტთა ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს პარტიის პროგრამისა და წესდების შესრულების საკითხები, იმის ღრმა და ყოველმხრივი გარჩევა, თუ რა კეთდება და როგორ გაკეთდება კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და ხვალინდელი დღის ადამიანის აღზრდა, რაც პარტიამ მიმდინარე ეტაპზე დაგვისახა, თვითეულ კოლექტივში წყდება. ამასთან ეს ამოცანები მით უფრო მეტი წარმატებით გადაიჭრება, რაც უფრო კარგად და ინიციატივიანად იმუშავებენ კომუნისტები. ეს გვავალებს კომუნისტთა მოღვაწეობის შეფასებას ფხიზლად, პარტიულად მივუდგეთ. არც საანგარიშო მოხსენებაში და არც სიტყვებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს კვეხნას, განდიდებას, მიღწევებით დატკბობას. კომუნისტთა ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას ეკონომიკის გადაუჭრელ საკითხებზე, ორგანიზატორული, იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებაზე, ყველა კომუნისტის, თვითეული მშრომელის აქტივობის გაძლიერებაზე.

მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნები პირველია პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა. ამ ჭეშმარიტად დიდმა ღონისძიებამ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მისცა თავიანთი ყურადღების ცენტრი გადაეტანათ წარმოების ძირეულ საკითხებზე, მატერიალური წარმოების სფეროზე. ახლა ისინი სულ უფრო განამტკიცებენ თავიანთ კავშირს მასებთან, სრულყოფენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, რითაც მეტწილად ოპერატიულად და კონკრეტულად წყვეტენ წარმოების, მშრომელთა კულტურისა და ცხოვრების საკითხებს. იმ დიდ წარმატებებში, რაც საქართველოს მშრომელებმა უკანასკნელ წლებში მოიპოვეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, დიდია დამსახურება პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც მასების შუაგულში მოღვაწეობენ, პარტიის პოლიტიკის უშუალო გამტარებლებად და მშრომელთა ორგანიზატორებად გამოდიან.

მაგრამ ამასთან ერთად არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები სუსტად წყვეტენ აქტუალურ საკითხებს. ამიტომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტთა ძირითადი ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს არა იმაზე, რაც უკვე გაკეთებულია, არამედ იმაზე, რაც მომავალში უნდა გავაკეთოთ.

საჭიროა კრიტიკულად გავუკეთოთ ანალიზი საქმის ვითარებას თვითეულ წარმოებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებაში. ყურადვიღოთ, განვაზოგადოთ ყველაფერი დადებითი, რაც კი საანგარიშო პერიოდში გვქონდა, დავსახოთ გზები არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად, მივცეთ განაწესი ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს ახალ შემადგენლობას. თავის მხრივ ახალმა მდივანმა, პარტბიურომ და პარტკომმა გადაჭრით უნდა აამაღლონ მომთხოვნელობა კომუნისტებისადმი, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ შესამჩნევად გამოცოცხლდა იდეოლოგიური ცხოვრება. იგი უფრო მეტად დაუკავშირდა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. მაგრამ ამ მხრივ ზოგან ნაკლოვანებებიც არის. ამას მოწმობს, კერძოდ, წარსულის ზოგიერთი გადმონაშთი, რაც ჭერჭერობით კიდევ გვხვდება ადამიანთა ყოფასა და ურთიერთობაში. ამიტომ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და პარტიული კონფერენციების ფართო და საქმიანი განხილვის საგანი უნდა იყოს. საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე ფართო მსჯელობა უნდა გაჩაღდეს ადამიანთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხებზე, რადგან ჩვენში ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება და მისთვის კეთდება.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებში ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს შინაპარტიული მუშაობის საკითხებს.

კომუნისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებს. პარტიულ ორგანოებში უნდა ავირჩიოთ ღირსეულნი ღირსეულთა შორის, ისინი, ვინც დაიმსახურა მაღალი ნდობა, ვისაც უნარი შესწევს წარმატებით გაუძღვეს საქმეს, სათანადოდ წარმართოს კომუნისტთა ძალები და აღზარდოს ადამიანები კონკრეტულ საქმეებზე.

არჩევნების დროს უნდა დავიცვათ პარტიული ორგანოების შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპი, რაც სკკპ წესდებით არის გათვალისწინებული.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ახალი მიღწევებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავი და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნის დღე — 24 დეკემბერი.

მოვაწყოთ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე, კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების როლი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში — ასეთია დღეს ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში იწყება საანგარიშო-საარჩევნო კრებები

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს I ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ!

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს I ყრილობა გაიხსნება 1963 წლის 27 სექტემბერს, დილის 10 საათზე, კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში (რუსთაველის პროსპექტი № 12/2).

საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო

პარტიული ცხოვრება

პირველადს პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების წინ

ფიქრები კოლმეურნეობაზე

პარტბიუროს მდივნის თამარ ნიაურის ნაამბობი

პურეულის მოსავლის აღება ახალი დამთავრებული გვქონდა. ლეხურას ხეობაში ბინდი ჩამოწვა. შინდავაკეს ველიდან კოლმეურნეები შინ ბრუნდებოდნენ. გზაში ერთ ჯგუფს წამოვეწიე. ისინი საუბრით მიჰყვებოდნენ ბილიკს.

— გასულ წელს შარშანწინდელზე უკეთესი ხორბლის მოსავალი მოვიყვანეთ, წლევანდელი კი შარშანდელზე ბევრად მეტია, არა? — ერთი ეკითხებოდა მეორეს.

— ასეა, ბაგრატ, მაგრამ ხორბლის მოსავლიანობის გეგმას მაინც ვერც წელს ვერ ვასრულებთ.

— რატომ? ხორბალი სიმინდზე ძნელი მოსაყვანია?

— არა!

— ჰოდა, ადრე სიმინდის ისეთი მაღალი მოსავლის მოყვანა, როგორსაც ეს სამი წელია ზედიზედ ვიღებთ, ბევრ ჩვენგანს შეუძლებელი ეგონა, მაგრამ ხედავთ მონდომებამ რა ჰქნა! შარშან საშუალოდ ჰექტარზე 50,5 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მივიღეთ.

— ვინმე კორესპონდენტი რომ ისმენდეს თქვენს საუბარს, რა კოხტად დაგხატავდათ! — გამოველაპარაკე მე.

— მერე და არა ვართ ღირსნი თუ...

უკვე კოლმეურნეობის კანტორასთან ვიყავით. მე იქ დავრჩი. მათ გზა განაგრძეს.

იმ საღამოს ჩემს სამუშაო ოთახში გვიანობამდე ვუჯექი საწერ მაგიდას. პარტბიუროს საანგარიშო მოხსენების გეგმას ვადგენდი და მალიმალ ასეთი კითხვები მებადებოდა:

— რა გვიშლის ხელს, რომ მეურნეობის ცალკეულ დარგებში კვლავ ჩამოვრჩებით? რის გაკეთება ვერ შევძელით? რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ნაკლოვანებათა დასაძლევად? როგორია ის ამოცანები, რომლებიც დგას პირველადი პარტიული ორგანიზაციის, პარტბიუროს, თვითეული კომუნისტის წინაშე სასოფლო-სამეურნეო არტელის საერთო აღმავლობის მისაღწევად?

პარტბიურომ საანგარიშო მოხსენების შემუშავებისათვის კომისიები შექმნა. ერთი კომისია შეისწავლის, თუ რა გაკეთდა კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის; მეორე — როგორ იდგა მასებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის, მათი აქტივობისა და თვითშემოქმედების გაძლიერების საქმიანობა; მესამე—პარტიული ჯგუფების ორგანიზატორულ მუშაობას, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის ამაღლების საკითხებს. პარტიული თვალი კოლმეურნეობის ცხოვრების ყველა კედელ-კუნჭულს მისწვდება.

— რედაქციიდან არიან და კანტორაში გთხოვენო,—მითხრეს თუ არა, უმალ ის ამბავი გამახსენდა, დღევანდელი საუბარი, რითაც დავიწყე. უკანასკნელ სამ წელიწადში ჩვენს კოლმეურნეობაში თვალსაჩინო ძვრებია. წინსვლა ასე დავიწყეთ: მეზობელი სოფლის — ქვემო ჭალის კოლმეურნეობიდან ჩვენთან — სამთავისის ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში გაგანოვას მაგალითისამებრ გადმოვიდა კომუნისტი აგრონომი ალფეზ ბუდალაშვილი. პარტიის მაშინდელი რაიკომის რჩევით იგი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ. ეს იყო 1959 წლის ოქტომბერში.

ახალი თავმჯდომარე მალე დაუახლოვდა კოლმეურნეებს, თითქოს ყველას გულში იხედებოდა, ისე სწორედ ამოიცნობდა ხოლმე ადამიანებს, რომლებიც საერთო საქმეს პირველ რიგში აყენებდნენ, და იმათაც, ვისთვისაც ეს მეორეხარისხოვანი იყო. ამიტომაც ხალხი თავმჯდომარეს გაჰყვა, პარტიული ორგანიზაცია მხარში ამოუდგა ახალ გამგეობას.

ენერგიული შრომის შედეგი პირველ წელსვე გამოჩნდა. მეურნეობის თითქმის ყველა დარგში თვალსაჩინო წინსვლა იყო. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 1959 წელს მიღებული 63.675 მანეთიდან 1962 წელს 132.871 მანეთამდე გაიზარდა. დიდად ამაღლდა შრომადღის ხვედრიც. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი დარგის სწრაფი წინსვლით დაიმედებულები გულდამშვიდებას მივეცით და მეურნეობის ცალკეულ დარგებში წლობით ჩამორჩენა მოგვდევს, თორემ, კოლმეურნეთა იმდღევანდელი საუბრისა არ იყოს, თუ სიმინდის წარმოება გეგმასთან შედარებით ერთნახევარჯერ გავადიდეთ, რატომ არ უნდა ვასრულებდეთ ხორბლის მოსავლიანობის დავალებას? კვლავ რათ უნდა ჩამოვრჩებოდეთ რძის წველადობაში?

ამ კითხვებზე პასუხი ერთია: მეურნეობის ყველა დარგს ერთნაირი მზრუნველობით არ ვუვლით. შარშან ას კოლმეურნეს მოსავლელად ჩაბარებული ჰქონდა 110 ჰექტარი ფართობი. ასმავე კოლმეურნემ სიმინდის მოსავლიანობის დავალება გადამეტებით შეასრულა. ეს სასახელო იყო. წელსაც სანაქებოდ არის მოვლილი „მინდვრის დედოფალი“, მაგრამ თუ ამ კულტურის მაღალი მოსავლის მოყვანას კარგად ვაწყობთ, რა გვიშლის ასევე გვქონდეს დაყენებული შრომა ვთქვათ მებოსტნეობაში?

პარტიულ კრებაზე მართალნი იყვნენ ის ამხანაგები, რომლებიც მებოსტნეობის ბრიგადის ხელმძღვანელ კომუნისტ ზოზრაშვილს უსაყვედურებდნენ, ბრიგადაში შრომის ორგანიზაცია სუსტად არისო. პარტბიუროში პირდაპირ გვითხრეს, პასუხი უნდა მოსთხოვოთ კომუნისტ კოლმეურნეს დ. რუსიტაშვილს მოსავლელად მიმაგრებულ ფართობზე ბოსტნეულის დაგვიანებით დამუშავებისათვის, ჩამორჩენილებს ჩვენს რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეთო.

ერთი ასეთი ამბავიც გამახსენდა. კოლმეურნე გ. ქარქიშვილმა მოსავლელად მიჩენილი ვენახის ფართობის ნახევარი რომ დაბარა, დაუბარავ მეორე ნახევარს ნიშანი დაასო და ზედ წააწერა: „ციცო თამარაშვილზე მიმაგრებული ნაკვეთი“ (ეს მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელის ა. თამარაშვილის ცოლია). ბრიგადირს ცოლი სამუშაოდ არ გამოჰყავს. ამაზე სხვადასხვა დროს არაერთი საყვედური გამოუთქვამთ კოლმეურნეებს. მათ სამართლიან განცხადებას კოლმეურნეობის გამგეობამ, პარტბიურომ დროზე ყური არ ათხოვეს.

— გიორგი, შენ სანაქებო კოლმეურნე იყავი და ასე რატომ მოიქეცი? — ვკითხეთ ქარქიშვილს.

— იქნებ ენახა ბრიგადირს დაუმუშავებელი ნაკვეთი და ეფიქრა ცოლის სამუშაოზე გამოყვანა, თორემ მე მას დაუბარავს არ დავტოვებ.

ბრიგადირ ა. თამარაშვილის შესახებ პარტიულ კრებაზე ვიმსჯელეთ. ის კომუნისტია, პასუხი უნდა აგოს ოჯახის წევრების საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობის მიუღებლობისათვის. მას სასტიკი საყვედური გამოვუცხადეთ სააღრიცხვო ბარათში შეტანით. ვფიქრობ, სამართლიანად მოვიქეცით, როცა ეს საკითხი პარტიული კრების მსჯელობის საგანი გავხადეთ. იგი სხვებისათვის მაგალითი უნდა იყოს. კრების გადაწყვეტილებას ალბათ დაგვიმტკიცებს გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიურო.

დასამალავი არ არის, რომ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია მექანიზაციის დონე. ძირითადად ეს არის იმის მიზეზი, რომ ძვირი გვიჯდება ცენტნერი პროდუქცია. ქარხანაში მუშამ თუ არ იცის ჩარხზე მუშაობა და იარაღის გამოყენება, მას არ ანდობენ სამუშაოს. კოლმეურნეობაში კი ტრაქტორს ყველას ვანდობთ. მოვიყვან ასეთ მაგალითს. წელს 130 ჰექტარზე დავთესეთ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად. მაგრამ ყველა ნაკვეთში ვერ მივიღეთ სწორი კვადრატები. განსაკუთრებით იმ ფართობზე, რომელიც ტრაქტორისტმა გივი გამხიტაშვილმა დათესა. ამიტომ კულტივაცია ერთი მიმართულებით გავატარეთ, ისე, როგორც „პუნქტირულ“ ნათესს ამუშავებენ.

გივი გამხიტაშვილი კარგი ტრაქტორისტი დადგება, თუ მას დავეხმარებით პროფესიის ღრმად დაუფლებაში. ტრაქტორის მართვა რაც შეიძლება მეტ კოლმეურნეს უნდა შევასწავლოთ. საჭიროა სწრაფად განვავითაროთ ისეთი მაღალმოსავლიანი დარგები, როგორიც მეხილეობა და მევენახეობაა. ეს პარტიული ბიუროს, კოლმეურნეობის გამგეობის პირველი რიგის საზრუნავია. უამისოდ წინ ვერ წავალთ.

ზემოთ ვთქვი, რომ წველადობაში ჩამოვრჩებით. წელს, ბალახის სიუხვის მიუხედავად, მეცხოველეობის ფერმაში ვერცერთი მწველავი ვერ ასრულებს წველის თვიურ დავალებებს. ამაზე კომუნისტ მწველავ თამარ რაზმაძესთან მქონდა საუბარი. მან მითხრა: ფერმაში გვყავს თექვსმეტი-თვრამეტი წლის და მეტი ხნის ძროხები, რომლებიც ასაკის მიხედვით დაწუნებული უნდა იყონ, მაგრამ ვინახავთ, რომ სულადობის გეგმა შესრულებული გვქონდეს. ეს ზედმეტ ხარჯად აწევს კოლმეურნეობას. ასეთ ანგარიშიანობას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

მწველავი რაზმაძე სწორად აყენებს საკითხს. მის წინადადებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ჩემს საუბარს რომ ისმენთ, ალბათ კიდევ ბევრი ახალი შეკითხვა გებადებათ. არ ვიცი, რამდენად ვუპასუხებ თქვენ მიერ დასმულ კითხვებს, მაგრამ ერთს მინდა ხაზი გავუსვა: კოლმეურნეობის წარუმატებლობისა და ცალკეული ჩავარდნების მიზეზს ვხედავ იმ ადამიანებში, რომელთა ხელშია წარმოების ბედი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ პარტბიურომ ერთგვარად გამოაცოცხლა მასებში ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა. მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად ვეწევით ადამიანებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას, მათ ჩვევებში „ჩემ-შენობის“ აღმოფხვრას.

პარტბიუროს მდივანმა თამარ ნიაურმა სხვაც ბევრი საინტერესო გვიამბო. ჩვენ მხოლოდ ეს ჩავიწერეთ.

სოფელ სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის (გორის საწარმოო სამმართველო) პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მალე ანგარიშგება-არჩევნები ჩატარდება. კომუნისტების წინაშე პარტბიუროს საანგარიშო მოხსენებით წარდგება თამარ ნიაური. კომუნისტებს დიდი საუბარი ექნებათ. კოლმეურნეობის ცალკეული ჩამორჩენილი დარგების წინწამოწევა — აი სამთავისელ კომუნისტთა გადაუდებელი საქმე.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეცნიერთა დიდი ფორუმი

მსოფლიოს მათემატიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში 17 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება და 23 სექტემბრამდე იმუშავებს მსოფლიოს მათემატიკოსთა დიდი ფორუმი — საერთაშორისო სიმპოზიუმი. იგი ეძღვნება ფუნქციათა თეორიის უწყვეტ ტანთა მექანიკაში გამოყენების საკითხს.

შემთხვევითი არ არის საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწვევა ჩვენს დედაქალაქში. იგი განაპირობა ჩვენი მათემატიკოსების დიდმა მიღწევებმა, მსოფლიო მნიშვნელობის გამოკვლევებმა. მექანიკამ და, კერძოდ, დრეკადობის თეორიამ ჩვენში ფართო განვითარება ჰპოვა აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილისა და მისი მოწაფეების შრომებში. ამ დარგის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის დროს ფრიად ნაყოფიერი გამოდგა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენება.

სიმპოზიუმმა მეტად დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა შორის. სიმპოზიუმზე დასასწრებლად უკვე მოემზადებიან გამოჩენილი უცხოელი მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, დედამიწის მეხუთე კონტინენტიდან — ავსტრალიიდან. სიმპოზიუმზე დასასწრებლად თავიანთ მეცნიერებს წარმოგზავნიან პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, იაპონია, ჰოლანდია, შვეცია, ინდოეთი, იტალია, დანია და სხვა მრავალი ქვეყანა. თბილისი ამ სიმპოზიუმზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 75 უცხოელ სტუმარს, გამოჩენილ მეცნიერს მოელის.

სიმპოზიუმში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. კელდიში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი (საერთაშორისო სიმპოზიუმის თავმჯდომარე), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი მ. ლავრენტიევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი ი. ვეკუა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლ. სედოვი და სხვ.

სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტში შედიან ე. კარაფოლი (რუმინეთი), ვ. კოიტერი (დელფტი, ნიდერლანდი), ნ. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე, თბილისი), მ. რუა (პარიზი, საფრანგეთი), ა. სნედონი (გლაზგო, ინგლისი), გ. მიხაილოვი (სწავლული მდივანი, მოსკოვი, სსრ კავშირი), ხოლო სიმპოზიუმის ეროვნული საორგანიზაციო კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი (თავმჯდომარე), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ი. ვეკუა, აკადემიკოსი ლ. სედოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ვ. კუპრაძე, ნ. ვეკუა, ო. ონიაშვილი, გ. ჭოღოშვილი, პროფესორები ა. ლურიე, გ. ჯანელიძე, მ. მიქელაძე, ა. ნიკოლსკი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. მანჯავიძე, პროფესორი [illegible] (სწავლული მდივანი).

სიმპოზიუმის მონაწილენი მოისმენენ 60 მოხსენებას. მოეწყობა პლენარული და სექციური სხდომები, იმუშავებს ორი სექცია — დრეკადობის თეორიისა და ჰიდროაერომექანიკის სექციები.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნება გენერალური მოხსენებები: აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილისა — ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენება დრეკადობის თეორიაში, აკადემიკოსების მ. კელდიშისა და ლ. სედოვისა — კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება ჰიდროდინამიკაში და აეროდინამიკაში. აგრეთვე მოსმენილ იქნება უცხოელი მეცნიერების მოხსენებები: ამერიკელი მეცნიერის რ. გარაბედიანისა — ზოგადი ამოხსნები კომპლექსურ არეში როგორც პასუხი მექანიკის ამოცანებზე; ფრანგი მეცნიერის რ. ლეჟანდრისა — ანალიზური ფუნქციის უნიფორმაცია მექანიკის ამოცანების გამოკვლევისათვის გამოსაყენებლად; ინგლისელი მეცნიერის ა. სნედონისა — დრეკადობის თეორიის ორმაგი მწკრივები და ინტეგრალური განტოლებები; ნიდერლანდელი ვ. კოიტერისა — დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნა ასიმპტოტური მეთოდებით და სხვ.

სიმპოზიუმის მონაწილენი გაეცნობიან თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ესტუმრებიან სახელმწიფო მუზეუმებს, ფუნიკულიორის პლატოს მთაწმინდაზე, შამპანური ღვინოების კომბინატს. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მათთვის მოეწყობა კონცერტი ქართველ ხელოვნების მოღვაწეთა მონაწილეობით, აგრეთვე ექსკურსია მარშრუტით: თბილისი-დიღომი-ჯვრის მონასტერი-მცხეთა-ანანური-ფასანაური-თბილისი.

ჩინეთის ხელმძღვანელთა მანკიერი პოზიცია

ბერლინი, 13 სექტემბერი, (საკდესი). სათაურით „მშვიდობიანი თანაარსებობა სოციალისტური საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია“ გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ დღეს აქვეყნებს სტატიას, რომელშიც განიხილავს მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხს და აკრიტიკებს ჩინეთის ხელმძღვანელთა მანკიერ პოზიციას. მსოფლიოში ძალთა ახალი თანაფარდობის საფუძველზე საერთაშორისო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ გამოიტანა დასკვნა, რომ ამჟამად არის მსოფლიო ომის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა, ხაზგასმით აღნიშნულია სტატიაში. მშვიდობისათვის ბრძოლის ამ გენერალურ ხაზს საფუძვლად უდევს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა.

მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ჯიუტად იცავენ თავიანთ თეზისს ომის გარდაუვალობის შესახებ.

როგორც ცნობილია, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1960 წლის თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება — და ჩინელმა ამხანაგებმა ხელი მოაწერეს მას — იმის შესახებ, რომ სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველი გახადოს სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური შეჯიბრების პრინციპები, რომლებიც ლენინმა დაასაბუთა. ჩინეთის ხელმძღვანელები კი ადგანან სრულიად სხვა პოზიციას და ახორციელებენ სხვა პოლიტიკას. მათ ხომ კონფლიქტში ჩაითრიეს ინდოეთი —ქვეყანა, რომლის მთავრობასთან ერთად რამდენიმე წლის წინათ ბანდუნგში მათ გამოაცხადეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. ხოლო მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ ისინი ისეთივე გაფთრებით ესხმიან თავს, როგორც ბონელი ულტრები.

ერთის მხრივ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს მოსკოვის განცხადებას (კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა, — საკდესის კორ. შენიშვ.), ხაზგასმით აღნიშნულია შემდეგ სტატიაში, ხოლო მეორე მხრივ, ისინი აშკარად უარყოფენ მშვიდობიან თანაარსებობას როგორც სოციალისტური ქვეყნების გენერალურ ხაზს. ისინი ამბობენ, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ლენინმა დაასაბუთაო, და ამასთან ერთად გვარწმუნებენ, რომ ეს პოლიტიკა გადახრაა მარქსიზმ-ლენინიზმისაგან და სხვ. თუ შევეცდებით გავაანალიზოთ ყველა ეს წინააღმდეგობა ჩინეთის ხელმძღვანელთა პოზიციაში, გამოვიტანთ დასკვნას, რომ კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა მათ მიაჩნიათ მხოლოდ ტაქტიკად, რომლის შეცვლა შეიძლება ყოველ მომენტში სუბიექტურ წარმოდგენათა მიხედვით. ეს არის ღრმად ანტილენინური პოზიცია, იგი ძირს უთხრის კომუნისტურ და მუშათა პარტიათა გადაწყვეტილებებს.

ჩინეთის ხელმძღვანელებს არ სურთ შეიგნონ ის უბრალო ფაქტი, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელება კლასობრივი ბრძოლაა. თავიანთი სქოლასტიკური აზროვნების გამო მათ არ შესწევთ უნარი გაიგონ კავშირი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკასა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შორის, რომელსაც ისინი სიტყვით უფრო აწარმოებენ, ვიდრე საქმით.

საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები და მთელი მსოფლიოს მარქსისტი-ლენინელები, ხაზგასმით აღნიშნულია დასასრულ სტატიაში, ხელმძღვანელობენ პრინციპული თვალსაზრისით, რომ სოციალიზმის ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ ამჟამად აუცილებელი არაა ჰქონდეს შეიარაღებული კონფლიქტებისა და შეიარაღებული შეტაკების ხასიათი. არც გერმანიაში, არც მთელ მსოფლიოში არ გვინდა არც ცხელი, არც ცივი ომი, ჩვენ ვესწრაფვით მშვიდობიან თანაარსებობას, რომელშიც გარდაუვალი ბრძოლა სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის იწარმოებს ეკონომიურ, კულტურულ და სულიერ დარგებში მშვიდობიანი შეჯიბრების ფორმით.

საერთაშორისო ცხოვრება

საერთაშორისო შენიშვნები

სულიერი ინკვიზიცია

ფრანკისტი ინკვიზიტორები, რომლებიც სასტიკად უსწორდებიან პატრიოტებს, ცდილობენ აგრეთვე მოახდინონ ესპანელი ხალხის იზოლირება მსოფლიო კულტურის მიღწევებისაგან.

მარტო წელს ფრანკისტულმა ცენზურამ 187 წიგნის გამოქვეყნებისა და გაყიდვის ნება არ დართო. მათგან ნახევარზე მეტი მხატვრული ლიტერატურაა. დანარჩენია შრომები ეკონომიკის, კულტურის დარგში, აგრეთვე წიგნები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო სამოქალაქო ომამდე და ხელახლა უნდა გამოცემულიყო. წიგნების ორი მესამედი უცხოელ მწერალთა კალამს ეკუთვნის და მესამედი — ესპანელ მწერლებს.

სავსებით აკრძალულია იმ ესპანელი და ამერიკელი მწერლების წიგნები, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს სიმპათიით ეკიდებოდნენ რესპუბლიკელებს.

დასადგმელად დაშვებულ იქნა მხოლოდ ერთი მეათედი ნაწილი უცხოელთა პიესებისა და მესამედი სამამულო პიესებისა, რომლების დადგმის ნებართვას თეატრები ითხოვდნენ. ყველაზე საინტერესო ფილმებსაც ან კრძალავენ, ან ავტორებისაგან მოითხოვენ ცვლილებები შეიტანონ კინოსურათებში.

ასეთი წესებია კაუდილიოს იმპერიაში — ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ ერთ-ერთ ქვეყანაში.

ყოველი მეორე — სკოლის გარეთ

16 სექტემბერს საფრანგეთის სკოლებში ახალი სასწავლო წელი იწყება. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა რიცხვი 227 ათასით გადიდდება, სულ კი მეცადინეობას უნდა შეუდგეს 9 მილიონზე მეტი ბავშვი, მთავრობამ მნიშვნელოვნად შეკვეცა ასიგნობანი სახალხო განათლებისათვის.

მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბავშვები 14-დან 18 წლამდე. 2.800 ათასიდან მხოლოდ 1.560 ათასი ბავშვი შეძლებს შევიდეს სწავლების ტექნიკურ, პროფესიულ ცენტრებში ან მეორე საფეხურის სკოლებში. საფრანგეთში ყოველ წელს მოზარდთა 55 პროცენტზე მეტი სკოლებს გარეთ რჩება.

ალაბამელი დერჟიმორდა

ალაბამის გუბერნატორმა რასისტმა უოლესმა კვლავ დაადასტურა, რომ აღვირახსნილ რასისტთა რიგებში მას უკანასკნელი ადგილი როდი ეკუთვნის.

ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით რამდენიმე სკოლას ქალაქ ჰანტსვილში (ალაბამის შტატი) წინადადება მიეცა სასწავლოდ მიეღოთ ზანგი ბავშვები. გააფთრებულმა გუბერნატორმა, რაკი უფლება არა ჰქონდა გაეუქმებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, ბრძანა გაურკვეველი დროით გადაედოთ სასწავლო წლის დაწყება. მაგრამ ქალაქის სკოლების საბჭო ამაზე არ დათანხმდა, და სკოლებში მეცადინეობა თავის დროზე დაიწყო.

მაშინ რასისტმა ბრძანება გასცა „დროებით დაეხურათ ოთხი სკოლა“. რადგან ფიქრობდა, რომ მისი ბრძანება ამჯერადაც შეიძლებოდა დაერღვიათ, გუბერნატორმა პოლიციელთა შეიარაღებული რაზმები გაგზავნა, რომ სკოლების კარები დაიცვან მოსწავლეთა და მასწავლებელთა „შეჭრისაგან“.

ტყე — ქვეყნის მშვენება

მეტყევეთა საკავშირო თათბირი

14 სექტემბერს თბილისში მუშაობა დაამთავრა მთის სატყეო მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილმა პირველმა სრულიად საკავშირო თათბირმა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სამეცნიერო დაწესებულებებისა და წარმოების მუშაკები იმ მხარეებიდან, სადაც განვითარებულია მთის სატყეო მეურნეობა, კერძოდ, შორეული აღმოსავლეთიდან, ურალიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებიდან, სულ 100-მდე კაცი.

ორი დღის განმავლობაში ტექნიკის სახლში მიმდინარეობდა სხდომები. აქ მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ვ. გულისაშვილი**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის ფილიალის სვერდლოვსკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორი **ბ. კოლესნიკოვი**, ლვოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი **ნ. გორშენინი**, პროფესორი **ა. ციმეკი** (შორეული აღმოსავლეთიდან), **ლ. გრებანოვი** (ყაზახეთიდან), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი **ი. ჩოდრიშვილი**, მეცნიერი მუშაკები ყირიმიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, შუა აზიიდან. მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე საქართველოს სატყეო ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა. შემდეგ ორ დღეს თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს თბილისისა და გორის საცდელ-სატყეო მეურნეობები, აგრეთვე ბორჯომ-ბაკურიანის ტყეები.

14 სექტემბერს ტექნიკის სახლში მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ნ. კეცხოველმა** ილაპარაკა საქართველოს მთიანი ტყეების შენარჩუნებისა და მათი სწორი ექსპლოატაციის საკითხებზე.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა აკადემიკოს **ვ. გულისაშვილს** და სთხოვა მოეთხრო თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საკავშირო თათბირს და რა ძირითად საკითხებს განიხილავდნენ თათბირის მონაწილეები.

— საქართველოს მთიანი ტყეების შენარჩუნებასა და მათ სწორად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სახალხო მეურნეობაში, — აღნიშნა მან. — ეს პირველი საკავშირო თათბირია, რომელიც სპეციალურად განიხილავს მთის ტყეების რაციონალური ექსპლოატაციის საკითხს, იმას, თუ რა ოდენობით შეიძლება ტყით სარგებლობა ისე, რომ არ დაირღვეს ტყის წყალსაცავი და ნიადაგსაცავი თვისებები. აქ წყდება საკითხი იმის შესახებ, რომ მთლიანად უზრუნველყოფილი იყოს ტყის განახლება. ტყის სწორი ექსპლოატაცია უნდა დავუკავშიროთ სოფლის მეურნეობის, ჰიდროენერგეტიკის, ტრანსპორტირების და მრავალ სხვა მნიშვნელოვან საკითხს.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია შემდგომი მუშაობის შესახებ.

ქართული კვარტეტის წარმატება

„ორერა“ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 14 სექტემბერი. (საკდესი). დიდი წარმატებით გამოდის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალური კვარტეტი „ორერა“, რომელიც აქ იმყოფება სტუმრად. ლაიფციგის ბაზრობის დღეებში საბჭოთა მსახიობებმა მონაწილეობა მიიღეს ინტერნაციონალურ პროგრამაში, ახლა კი დამოუკიდებელ კონცერტებს მართავენ. როგორც საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კვარტეტის ხელმძღვანელმა რობერტ ბარძიმაშვილმა განაცხადა, ქართველი მსახიობები გამართავენ სულ 24 კონცერტს — ლაიფციგში, ბერლინში, ჰალეში, დრეზდენსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

კვარტეტ „ორერას“ რეპერტუარშია მშობლიური საქართველოს სიმღერები და რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებები, აგრეთვე კუბური, არაბული, აფრიკული, იტალიური და გერმანული სიმღერები, რომლებსაც ამ ქვეყნების ენებზე ასრულებს.

მიწისქვეშა ატომური აფეთქებები ნევადაში

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ნევადის შტატის გამოსაცდელ პოლიგონზე განახორციელეს ორი მიწისქვეშა ატომური აფეთქება, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო.

იზრდება იტალიის კომპარტიის რიგები

რომი, 14 სექტემბერი. (საკდესი). მიმდინარე წლის პირველი 8 თვის განმავლობაში იტალიის კომუნისტურ პარტიას შეემატა 120 ათასი ახალი წევრი. პარტიული დოკუმენტების გამოცვლის ყოველწლიური კამპანიის მსვლელობაში, პარტიის წევრთა 1962 წლის შემადგენლობის 98,8 პროცენტმა მიიღო ახალი პარტიული ბილეთები, რითაც დაადასტურეს, რომ ეკუთვნიან იტალიის მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს. ეს ნათქვამია იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის კომუნიკეში, რომელიც დღეს გამოაქვეყნეს. ცნობაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ 56 პარტიული ფედერაციის რიცხვმა სექტემბრის დამდეგისათვის გადააჭარბა შარშანდელ დონეს, ხოლო 21 ფედერაცია უშუალოდ მიუახლოვდა ამ დონეს.

ახლა ტურინოში, მილანში, ნეაპოლში, ვენეციაში, პალერმოსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში უფრო მეტი კომუნისტია, ვიდრე 1962 წლის დამლევს იყო.

სხვადასხვა მერიდიანზე

☐ **სენეგალის** რესპუბლიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა ხელი მოაწეროს მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

☐ **რეიკიავიკის** პოლიციის ხელისუფლებმა აკრძალეს საპროტესტო მიტინგების გამართვა ისლანდიაში არსებული ამერიკელთა ბაზების წინააღმდეგ. მიტინგი უნდა გამართულიყო ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე იმასთან დაკავშირებით, რომ ისლანდიაში 16 სექტემბერს ვიზიტად ჩამოდის ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონი.

☐ **ბუდაპეშტში** გაიხსნა კონფერენცია გემთმშენებლობის საკითხებზე. კონფერენციის მონაწილეები განიხილავენ მრეწველობის ამ დარგის განვითარების პერსპექტივებს. კონფერენციის მუშაობაში უნგრელ სპეციალისტებს გარდა მონაწილეობენ დუნაის კომისიის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, აგრეთვე პოლონეთის, ინგლისის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

☐ **განის** რესპუბლიკის მთავრობამ საფრანგეთის ელჩს აკრაში გადასცა საპროტესტო ნოტა იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთი აპირებს გამოსცადოს ატომური იარაღი საჰარაში.

☐ **კოპენჰაგენში** სამი დღის ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი.

☐ **ჩრდილოეთის** ზღვაში დაიწყო ნატოს სამხედრო-საზღვაო მანევრები, რომლებშიც მონაწილეობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის სამხედრო გემების შენაერთები.

☐ **მონღოლეთის** სახალხო რესპუბლიკის აიმაკის ყველა ცენტრს რადიოსატელეფონო კავშირი აქვს ულან-ბატორთან. მარტო ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სატელეფონო წერტების რიცხვი რესპუბლიკაში 1,7-ჯერ გაიზარდა.

☐ **ავსტრალიის** გვინეის ყოველი ასი მოსახლიდან ექვსი კეთრით არის დაავადებული. სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, რომელიც აღმოსავლეთ გვინეის მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენს, არ უპასუხებს ელემენტარულ მოთხოვნებს. კეთრით დაავადებული 10 ათასი ადამიანიდან მხოლოდ 6 ათასს უწევენ სამედიცინო დახმარებას. (საკდესი).

WIR FORDERN für SPANIEN FREIE GEWERKSCHAFTEN
ERTAD
PRESALIADOS
SOLIDARIDAD
ASTURIAS

ასტურიის გაფიცულ მაღაროელებთან სოლიდარობის დემონსტრაცია გამართეს ესპანელმა მუშებმა, რომლებიც დიუსელდორფის (გფრ) საწარმოებში მუშაობენ. ტრანსპარანტებზე, რომლებიც მანიფესტანტებმა ქალაქის ქუჩებში გაატარეს, ნათქვამია: „სოლიდარობა ასტურიელ ამხანაგებთან“, „მოვითხოვთ თავისუფალ პროფკავშირებს ესპანეთისათვის“.

ფოტო ადნ-საკდესისა.

საეჭვო ქურდობა

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დღისით გაზეთ „იზვესტიას“ კორესპონდენტის ს. კონდრაშოვის ბინა ნიუ-იორკში გაქურდეს. ბოროტმოქმედებმა კარი გასაღებით გააღეს, ისე რომ არ გაუფუჭებიათ საკეტი. ყველაფერი გადააქოთეს და თან წაიღეს საბეჭდი მანქანა, პორტფელი და ქალის კოფთა. ქურდებმა ისე დატოვეს შენობა, რომ არ შეუნიშნავთ ისინი არც მელიფტეებს და არც მეკარეებს.

ქურდობა ნიუ-იორკში სენსაცია როდია. მაგრამ ნიუ-იორკელმა ქურდბაცაცებმა რაღაც ძალიან მოუხშირეს საბჭოთა ჟურნალისტთა ბინებში „სტუმრობას“. მათ თავი რამდენადმე უცნაურად უჭირავთ: ყოველთვის იციან, როცა კორესპონდენტი შინ არ არის, ყოველთვის აქვთ გასაღებიც. ისინი ყოველთვის გულდასმით ჩხრეკენ მთელ ბინას; თან კი მიაქვთ მხოლოდ უმნიშვნელო ნივთები, თითქოს სურთ უჩვენონ, რომ ეს არის ჩვეულებრივი „პატიოსანი ქურდობა“. ნაკლებად უცნაური როდია ის, რომ ნიუ-იორკის პოლიცია სრულიად უძლურია მაშინ, როცა საეჭვო ქურდობა ხდება საბჭოთა ჟურნალისტთა ბინებში.

მშრომელთა ხარჯზე

პარიზი, 12 სექტემბერი (საკდესი). დღეს პრეზიდენტ დე გოლის თავმჯდომარეობით გაიმართა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა საფრანგეთის ეკონომიკის შემაშფოთებელ მდგომარეობას. სხდომაზე, როგორც გამოქვეყნებული კომუნიკედან ჩანს, საბოლოოდ დამტკიცდა ეგრეთწოდებული „სტაბილიზაციის გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი ეკონომიური და ფინანსური ხასიათის ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა გააჯანსაღონ საფრანგეთის ეკონომიკა.

დემოკრატიულ პრესას მიაჩნია, რომ ეს გეგმა წარმოადგენს ცდას—საფრანგეთის ფინანსური მდგომარეობა გააუმჯობესონ ფრანგ მშრომელთა ხარჯზე.

თვითგამორკვევის უფლების დასაცავად

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იცავს იმ ხალხების თვითგამორკვევის პრინციპებს, რომლებიც ჯერ კიდევ არიან კოლონიური უღლის ქვეშ, და მტკიცედ მოითხოვს დაუყოვნებლივ და ყველგან განხორციელდეს გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო თავის წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან უ ტანისადმი.

გრომიკოს წერილი, რომელიც პასუხია უ ტანის მიმდინარე წლის 19 აგვისტოს ცირკულარულ წერილზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ პორტუგალიის მმართველობას დაქვემდებარებული ტერიტორიების მდგომარეობის საკითხზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გადასცა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ.

რაც შეეხება პორტუგალიის მმართველობას დაქვემდებარებულ ტერიტორიებს, აღნიშნავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები გენერალური ასამბლეის სესიებსა და უშიშროების საბჭოს სხდომებზე მუდამ მოითხოვდნენ იმას, რომ პორტუგალიის კოლონიზატორებს შეეწყვიტათ სასტიკი რეპრესიები თავიანთი კოლონიების მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ, სახელმწიფოებს აღარ მიეწოდებინათ პორტუგალიისათვის იარაღი და სამხედრო საჭურველი, რასაც პორტუგალიის მთავრობა იყენებს კოლონიური ომებისათვის, მოითხოვდა იმას, რომ დაუყოვნებლივ მიენიჭებინათ დამოუკიდებლობა პორტუგალიის მმართველობას დაქვემდებარებული ტერიტორიების ხალხებისათვის. საბჭოთა კავშირმა, კერძოდ, ხმა მისცა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომლის შესახებაც ლაპარაკია გენერალური მდივნის წერილში.

საბჭოთა კავშირს, ხაზგასმით აღნიშნულია წერილში, პორტუგალიასთან არა აქვს არც დიპლომატიური, არც საკონსულო, არც ეკონომიური ურთიერთობა. თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირს არ მიუწოდებია და არც აწვდის პორტუგალიის მთავრობას არც იარაღს, არც სამხედრო საჭურველს, აგრეთვე არ გაუწევია და არ უწევს პორტუგალიას რაიმე სხვა დახმარებას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს მან რეპრესიული ღონისძიებებისათვის პორტუგალიის მმართველობას დაქვემდებარებული ტერიტორიების ხალხთა წინააღმდეგ.

დასასრულ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გამოსცეს ეს წერილი უშიშროების საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად.

ზურგი შევაქციოთ დიქტატორს

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მოითხოვს გამოიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები, შეწყვიტოს ნგო დინ დიემის ანტიხალხური რეჟიმისათვის ეკონომიური და სამხედრო დახმარების გაწევა.

სამხრეთ ვიეტნამში მომხდარი ამბები, ნათქვამია განცხადებაში, ცხადყოფენ, რომ ამერიკის იმპერიალიზმი კვლავინდებურად გამოდის მოღალატური და დალუპვის გზაზე დამდგარი რეაქციული რეჟიმების მხსნელის როლში.

როცა ყინული იწვის

კინოსცენარი

ანა ანტონოვსკაია, ბორის ჩორნი, კონსტანტინე ჩორნი

1942 წლის შემოდგომაზე გერმანელები შეეცადნენ დაეპყროთ კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილები და გაჭრილიყვნენ კასპიის ნავთობის ცენტრებისაკენ, შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ. ჰიტლერელებმა შესძლეს კიდეც 37-ე არმიისაგან მოეწყვიტათ შტაბი, რამაც ხელი შეუწყო გერმანელების წინ წამოწევას. თავისი შტაბისაგან მოწყვეტილი არმიის ნაწილებს შორის იყო 392-ე ქართული მსროლელი დივიზია.

392-ე დივიზიას, რომელსაც გენერალი გიორგი ივანეს-ძე ყუფარაძე მეთაურობდა, არც მარცხნივ ჰყავდა მეზობელი და არც მარჯვნივ. დივიზია დიდხანს აწარმოებდა მოძრავ თავდაცვას და ფრონტის ცალკეულ უბნებზე (ბაქსანისა და ჩეგემის ხეობებში) მოწინააღმდეგეს საგრძნობ კონტრდარტყმებს აყენებდა. ამ დივიზიის საგმირო საქმეები არაერთხელ აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით. დივიზიის რიგებში ცოტანი როდი იყვნენ ისეთნი, როგორიც კაპიტანი ბუხაიძე.

392-ე დივიზიამ მიიღო ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის ბრძანება კავკასიონის სამხრეთ კალთებისაკენ დახევის შესახებ. დივიზიამ, რომლის უკანდახევასაც თავისი საბრძოლო მოქმედებით მხარს უჭერდა არიერგარდი, თავი დააღწია მტრის ბევრად ჭარბი ძალების შემოტევას, პირადი შემადგენლობა და მატერიალური ნაწილი იხსნა და მცირედი დანაკლისით გამოიყვანა. ამასთან 392-ე დივიზიამ ღირსეულად შეასრულა პასუხსაგები სახელმწიფო დავალება: დივიზიის პირადმა შემადგენლობამ თავისი ზურგით გადაიტანა 300 ტონა სტრატეგიული მადანი (მოლიბდენი) და ზუგდიდის რაიონში გადაიყვანა 30.000 სული საქონელი (ჩრდილოეთ კავკასიის ეს ძვირფასი ქონება).

ბრძოლებშიც და, თუ შეიძლება ითქვას, ამ „სუვოროვულ“ გადასვლაშიც 392-ე დივიზიამ გამოავლინა ნამდვილი წრთობა, გამძლეობა და მაღალი საბრძოლო სულისკვეთება. ფონ კლაისტის სატანკო არმიის ნაწილები ბევრად უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე ერთი მსროლელი დივიზია, მაგრამ გერმანელებმა ვერ გატეხეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ამდგარი მებრძოლები, სულით ძლიერნი და შეუდრეკელნი.

აი, ამ გმირ დივიზიაზე მოგვითხრობს კინოსცენარი „როცა ყინული იწვის“, რომელიც უჩვეულო საავტორო კოლექტივს — ბებიის, შვილისა და შვილიშვილის — ანა ანტონოვსკაიას, ბორის ჩორნისა და კონსტანტინე ჩორნის კალამს ეკუთვნის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ რამდენიმე ნაწყვეტს კინოსცენარიდან „როცა ყინული იწვის“.

ირევიან მზით ოდნავგაშუქებული ღრუბლები. ტყისპირა მინდორზე ჩამწკრივებული მფარავი პოლკის წინაშე დგას ყუფარაძე. ნაბადი ასხია, მხარზე ავტომატი ჰკიდია.

ამავე მინდვრიდან იწყება უღელტეხილზე მიმავალი ბილიკი. ბილიკით უკან იხევს დივიზია. ჯარისკაცები გადიან გენერლის უკან, თვალებში შესცქერიან ანდა, პირიქით, დარცხვენილი არიდებენ თვალს იმათ, ვინც მათი თითოეული ნაბიჯის დასაცავად რჩება.

— ეს უკანდახევა როდია, — ამბობს ყუფარაძე. — ეს ევაკუაციაა. თავდაცვითი ნედლეულის, ტექნიკისა და, რაც მთავარია, ცოცხალი ძალის ევაკუაციაა. თქვენი ამოცანა უკანდახევის დაფარვა კი არა, კონტრდარტყმის მომზადებაა. ვიცი, რომ მეთაურმა უკანასკნელმა უნდა დატოვოს ადგილი, მაგრამ ამ შემთხვევაში დარჩენილთათვის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე თქვენთვის. ამიტომ დივიზიას მე გავუძღვები. დამფარავი პოლკის მოქმედების დაწვრილებითი გეგმა...

ნაცემ ძაღლივით აწკმუტუნდნენ ყველგანმავლის მუხრუჭები, ყველგანმავლიდან გამოხტა ადიუტანტი. ყუფარაძესთან მიირბინა და ყურში რაღაცას უჩურჩულებს.

— არა! — აწყვეტინებს ყუფარაძე.— მომახსენეთ ფორმის მიხედვით!

— ამხანაგო გენერალო, — ოდნავ ხმამაღლა იწყებს ადიუტანტი, — ფერდობებზე...

— არა! — უყვირის ყუფარაძე. — უფრო ხმამაღლა!

— ამხანაგო გენერალო! იალბუზის კალთებზე დაეშვა „ედელვაისთა“ საპარაშუტო დესანტი.

გერმანელები ზურგში! მწკრივებში დრტვინვა გაისმის...

— ეს-ღა გვაკლდა! ახლა მორჩა. თვითონ მიდის, აქ კი... ყოველმხრივ გერმანელები არიან... ჩვენი მეთაური კი, ჯარისკაცთა მამა, კაი ბიჭია აი!..

ყუფარაძე დუმს. ჩაფიქრებულმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, უკანვე დაბრუნდა. აბნეულობა რომ შეამჩნიეს, ჯარისკაცთა რიგებში უფრო ხმამაღლა გაისმა ლაპარაკი, დავა, გინება, ყვირილი...

— შეწყვიტეთ ლაპარაკი! — ხმა აიმაღლა ყუფარაძემ. — ჯარისკაცებო! სერჟანტებო! ოფიცრებო! მოისმინეთ ბრძანება ნომერი პირველი! ჯერ ერთი: დამფარავი პოლკის მეთაურად მისი მოქმედების მთელი დროის მანძილზე ინიშნება გენერალი ყუფარაძე. მეორე: დამფარავი პოლკის მარჯვენა ფრთის მეთაურად სამარადისოდ ინიშნება კაპიტანი ბუხაიძე, გმირულად რომ დაიღუპა! მხარი უსწორეთ კაპიტან ბუხაიძეს!

ლაპარაკი შეწყდა. მთელმა პოლკმა, მარჯვენა ფრთამაც კი, პირი მარჯვნივ იბრუნა, თითქოს იქ მართლა კიდევ ერთი კაცი დგასო.

ისმის ბრძანება:

— გამოაქვთ დივიზიის ალამი — სწორდი!

სრულ სიჩუმეში ზეიმურად და მრისხანედ გაატარეს ალამი, რომელზეც ოვალში გამოსახულია ლენინი.

ალამს მტკიცე ნაბიჯით მიჰყვება შაშხანამომარჯვებულ ჯარისკაცთა ოცეული.

ზევით, დონღუზ-ორუნ-ბაშის უღელტეხილისაკენ მიმავალ ბილიკზე ფრთხილად ადის მზვერავთა რაზმი. მესანგრეები ხანდახან შეჩერდებიან, სერჟანტი ოთარი, ანდრია, გრიგოლი, მაკეევი ყინულში პალოებს ასობენ და განაგრძობენ ყინულების დაზვერვას.

წელან კიდევ ისმოდა, თუ როგორ აკეთებდნენ ტრავერსს მესანგრეები, მზვერავებს რომ მოჰყვებოდნენ უკან, ახლა კი ყველაფერი მძაფრმა ქარმა წარიტაცა. ადამიანთა პატარა ჯგუფი, ვახტანგს რომ მიჰყვება, დამშვიდებული შედის უთავბოლოდ ახორავებული კლდეების უცნაურ სამყაროში. და ყოველ ოც ნაბიჯზე ესობა პალო. ყოველი პალო ბუნებაზე გამარჯვების პატარა ნაწილაკია. ყოველი ნაბიჯი კი — ნებისყოფის გამარჯვება უსაზღვრო დაღლილობაზე.

სადღაც ქვევით კი, ჩაბნელებულ ნესტიან ხეობაში მიიკლაკნება ბილიკი. ბილიკზე ფრთხილად მიიწევენ წინ ჩალვადრები. სერჟანტი რამაზი, პეტროვი, ანტონი და საშა მიათრევენ ორ დაზგის ტყვიამფრქვევს და ლენტებიან ყუთებს. ტიხონს მიაქვს გრანატებიანი ორი ყუთი. ჯარისკაცები წყნარად ეხმაურებიან ერთმანეთს.

— ნუ მაცინებ, — ამბობს ტიხონი, — ახლა ტრაქტორი ნამჯით დადის, შენ კი გინდა შორიდან მართავდე მას.

— შენ არაფერი არ გესმის, — ეუბნება პეტროვი. — დაფიქრდი: სათბობი არ არის, მოიხაზრეს, ტრაქტორი ნამჯით გამართონ. რა მოიგონეს! ნამდვილად გეუბნები: კაცი რას არ მოიგონებს.

— აბა, აბა! ოქროს ბრანწი არ გინდა? — ბუზღუნებს ტიხონი.

საშა უკვე კაი ხანია ღიღინებს ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის სკერცოს, და ჯარისკაცები ახლა ყურს უგდებენ, მიწყნარდნენ, სანამ საშა დაამთავრებდეს.

— რა კარგია, — ამბობს პეტროვი.

— ჩაიკოვსკია, — იღიმება საშა.

— ჰოდა, რატომ მუსიკის ასეულში არ შეხვედი? — ეუბნება ანტონი.

— რაღაც ასე მოხდა, — უპასუხებს საშა.

— როგორ მოხდა? —ეკითხება პეტროვი.

— მუსიკალურ სასწავლებელში ყველას სპორტი უნდა გვესწავლა. წრეებში გვწერდნენ... ჰოდა ვიფიქრე: ფრენბურთის, მსუბუქი ათლეტიკის წრეში რომ ჩავეწერო, კვირაში ორჯერ უსათუოდ საწვრთნელად უნდა ვიარო. ალპინისტურში კი — აბა ლენინგრადში რა მთებია? მერე ომი დაიწყო. რამდენიმე დღე შვედურ კედელზე ვიფოფხეთ და, როგორც იტყვიან, ღაჯკარით ფეხი და კავკასიაში ამოვყავით თავი.

— შენ რაღაც მიჭკარავ! — ეუბნება ანტონი.

— უნდა მოგახსენოთ, რომ საერთოდ არასოდეს არ მიცრუებია, — იწყინა საშამ.

— გამოდის, რომ ბედმა ზურგი გიჩვენა! — იცინის რამაზი.

— რატომ ზურგი, — უპასუხებს საშა. — თქვენი თავი მიჩვენა.

ჯარისკაცები იცინიან.

— ნამდვილი მასხარა ხარ! — ეუბნება პეტროვი. — მერე, რა? — უეცრად რაღაც მოაგონდა, თავისი ბლოკნოტი ასწია და განაგრძო. — აქ ბატარიის ერთი უფროსი ძმა მყავს ჩაწერილი, რომელიც ომამდე კლოუნი იყო. ხდება ხოლმე, ძმობილო: ყველამ იარაღი აისხა...

უკაცრიელი ხევით მიდიან და უნებურად დუმან, რადგან აქ ყრუდ გაისმის თითოეული მათი ნაბიჯი.

და უეცრად ხევის სიღრმეში, იქ, სადაც კლდეებს პირი შეუკრავთ და მეტად ვიწრო გასასვლელი დაუტოვებიათ, „ედელვაისების“ რაზმი გამოჩნდება.

ჯარისკაცები გაიტრუნენ. აქ მხოლოდ მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ „ედელვაისებს“, რომ ისინი მფარავი პოლკის ზურგში არ გავიდნენ.

— უნდა გავიქცეთ და ჩვენები გავაფრთხილოთ, — ჩურჩულებს ტიხონი.

— ვერ მოვასწრებთ, — ეუბნება პეტროვი.

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ ვერ დავრჩებით, — ამბობს საშა. — განა ჩვენ საგანგებო დავალება არა გვაქვს?...

— რა ქმა უნდა, არ შეგვიძლია არავითარი უფლებაც კი არ გვაქვს, — ჩურჩულებს ტიხონი.

„ედელვაისები“ ახლოვდებიან.

— რაზმო, საბრძოლად მოემზადე! — ბრძანებს რამაზი. — ახლოს მოუშვი. მიდი!

და ბრძოლა იწყება, „ედელვაისები“ ცოტა აიბნენ მოულოდნელი თავდასხმის გამო, მაგრამ აი უკვე გადაჯგუფდნენ და ახალი იერიში დაიწყეს. იგი მოგერიებულია! და კვლავ იერიში.

— ალავერდი ჰიტლერს! — ყვირის რამაზი და ზედიზედ აწვენს მტრებს.

ტიხონი ბრძოლის მსვლელობაში ახერხებს გარშემო დაყრილი ქვების მოგროვებას და საფარს იკეთებს გულმოდგინედ.

— სად ისვრი?! — უყვირის ანტონი საშას, როცა დაინახავს, რომ იგი თვალებდახუჭული ისვრის, — გაახილე თვალი! დედალო! ერთი ამას დამიხედონ!

მტრის შემოტევა ძლიერდება. იგი, რადაც უნდა დაუჯდეს, ამ ხეობაში უნდა გაიჭრეს. უჭირთ ჩვენს ჯარისკაცებს! გერმანელები ჯიქურ უტევენ. თითქმის გვამებზე გადმოდიან. თითქმის ფსიქიურ იერიშზე.

და კვლავ უკუგდებულ იქნენ.

და როცა სროლა მიწყნარდება, ჯარისკაცებს ანაზდად ესმით წყნარი რეკვა. თურმე წვიმის წვეთები წკრიალებენ მათს მუზარადებზე.

— ეს რა არის? — კითხულობს საშა და დააყურებს.

— დახე, წვიმს, — ამბობს რამაზი და სიამით შეუშვერს წვიმას ტალახით გასვრილ სახეს.

— ხომ არ გავაბოლოთ? — ანტონი კბილებით იმაგრებს ხელზე სახვევს, რომელზეც წითელი ლაქა გაიდღაბნება.

დაღლილი ჯარისკაცები მიწაზე დასხდებიან.

— აქედან წასვლა არ შეგვიძლია, — ამბობს რამაზი.

— მათი შეჩერება კი შეგვიძლია? — ჩაიცინა ტიხონმა.

— სადმე წასვლა საჭირო არ არის,— ამბობს საშა, — აქ ძალიან კარგად ვართ.

— რით ვართ კარგად? — დასცინის ანტონი. — არც პიტნაა, არც ნიახური...

— თავი გაანებე მაგას, — ეუბნება პეტროვი, — მომბეზრდა.

— შენ ვინა ხარ?..

— ჩუმად! — გააწყვეტინა რამაზმა.— ამიერიდან ჩვენ ამ უსახელო ხეობის გარნიზონი ვართ. მეთაური მე ვიქნები: როგორც ხარისხით უფროსი. ტიხონ! დაუყოვნებლივ მოახსენე ბატალიონის შტაბს შექმნილი მდგომარეობა.

— გაიქე, — ეუბნება პეტროვი ტიხონს. — ძლოკვივათ გაძვერ. თორემ...

— მოდიან! — იძახის საშა.

ხეობის სიღრმეში გამოჩნდება „ედელვაისთა“ ახალი რაზმი.

ჯარისკაცები ტყვიამფრქვევებს მიუწვენენ. ტიხონი გარბის.

— გასწი! — მისძახის უკან პეტროვი.

დაღლილნი, დაქანცულნი ბრუნდებიან მესანგრეები დაზვერვიდან — იქით ბილიკი აღარ არის. დაიკარგა? იქნებ თოვლში გაქრა? ან ყინულმა დაფარა? ისინი მდუმარედ შლიან კარავს სწორედ იმ ადგილას, რომელსაც კიდევ ამჩნევია მათი წინანდელი ბანაკობის კვალი.

— იქნებ სწორედ ეს არის ბილიკი? — კითხულობს ოთარი. და უჩვენებს ნაპრალს, ფერდობზე რომ შავად მოჩანს.

— არა, — თავი გაიქნია ვახტანგმა.— ბილიკი იწყება აქედან ორმოც მეტრზე მარცხნივ, მერმე ხევში ეშვება. ზუსტად ვიცი.

— გახსენი მეორე ფრონტი, — უპასუხებს ოთარი.

მესანგრეები „ბეკონს“ ხსნიან, ორცხობილა მოაქვთ, ჩუმად შეექცევიან კონსერვებს, შემდეგ ჩამბაქოს ეწევიან.

— ავიღოთ კარვები, — ვახტანგს წრიაპები მიაქვს. — წავიდეთ. გახსოვდეთ: „გაბაწვრით“ უნდა ვიაროთ, კვალდაკვალ.

გადმოივლის თოვლის ღრუბელი და ჯარისკაცებს დამალავს. მაგრამ ისინი კვლავ წამოდგებიან და მიდიან. ჩარბები გალურჯებიათ, თვალები დასწითლებიათ, ტანსაცმელი შემოხევიათ, გაყინულან, გაბრაზებულან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიდიან.

გარნა ყოველივე ამაოა. ბუნდოვნად მოჩანან ყინულოვანი მთის კალთები, მრისხანედ აღმართული ცისკიდურზე კლდოვანი მთაგრეხილი.

— სად არის შენი ბილიკი? — უყვირის ოთარი ვახტანგს.

— მოიტა რაკეტი! — ეძახის ვახტანგი.

— ეძიე!

— შეჩერდით, — დაჟინებით მოითხოვს ვახტანგი. — თორემ შემდეგ გვიან იქნება.

— ბილიკი ეძიე! — უყვირის ოთარი.

და კვლავ მიდიან მესანგრეები.

პოზიცია, რომელიც საომარი მასალის ხუთმა მიმტანმა დაიკავა. ახლა ეს რამაზის საცეცხლე წერტია.

მთის მწვერვალებს კვლავ ანათებს მზე, აქ კი უკვე ღამეა, ბნელა. ზოგჯერ დაიფრთქვენს მაშუქი რაკეტი.

რამაზი ტყვიამფრქვევს წმენდს და წყნარად ღიღინებს რაღაც ნაღვლიან სიმღერას.

— მეთაურო, გაჩუმდი, გულს ნუ მიწვრილებ, — ეუბნება პეტროვი.

დუმან ჯარისკაცები. ასეთ ღამეებში განსაკუთრებული სიცხადით ხედავ სახლს, ნათესავებს, გინდა იფიქრო ამეებზე, მაგრამ ემალები.

— გზა ხომ არ აებნა? — ამბობს ანტონი.

— რამდენი ვაზნა წავიღოთ? — ეკითხება პეტროვი.

— არა უმეტეს დღენახევრისა, — უპასუხებს რამაზი.

— მერე კი რა უნდა ვქნათ? — ეკითხება საშა.

— მერე დედაშენთან წახვალ! — უკმეხად მიუგო ანტონმა.

— მე დედა არ მყავს...

— იქნებ მოწყვეტილი ვართ მათგან? — ვარაუდობს პეტროვი.

—ჩემი აზრით, ფრონტი უკვე სადღაც უკანაა, — ამბობს საშა.

— ნერვები დაიწყნარეთ! — ბრძანებს რამაზი.

— ნერვები დიდი ხანია დაგვაწყდა, — ამბობს პეტროვი, — იქნებ კიდევ წავიდეს ვინმე?

— ასეთ ბნელაში რას დაინახავ? — ამბობს რამაზი. — ხვალამდე მოვიცადოთ.

— კარგად კი ვუმასპინძლდებით ეს მეორე დღეა! — უხარია საშას.

— ხომ არ მოვწიოთ?.. — ჩაურთო სიტყვა ანტონმა. — მადლობა უთხარ ფონ-კლაისტს, რომ ტანკები არ მოგვაყარა. გაგიგონია ამისთანა სათამაშო?

— გამიგონე, ანტონ, — ეუბნება რამაზი. — ერთიც ვნახოთ, ხუთი წუთის შემდეგ გენერალმა მოირბინა და ამბობს, ომი გათავდაო! რას იზამდი?

— მშვიდობაო? შეუძლებელია!

— მშვიდობა რადა? ყველა გერმანელი წავიდა და ომი გათავდა!

— ეგ შეუძლებელია, — ამბობს ანტონი.

— რაო, ვერ წარმოგიდგენია?

— ვერა. აი ბერლინში ჩავალ, მაშინ წარმოვიდგენ.

— ეს რა კაცია. — აღშფოთდა რამაზი.—შენთან არავითარი ხუმრობა არ შეიძლება. შენ გვეოხარი, საშა!

— რას ვიზამდი? — საშა ჩაფიქრდა. — ლენინგრადს ჩავალ, მოიკისა და ნევსკის კუთხეში დავდგები... იქ მომისწრო ომმა, შინ მივიჩქაროდი, აგარაკზე უნდა წავსულიყავით. ერთ წუთს იქ გავჩერდები, თავს გავაქნევ, შინ მივალ და აგარაკზე წასასვლელად მოვემზადები. მხოლოდ ალბათ ასე არ გამოვა...

— ეს რაღაც ძალიან თავსამტვრევია, — ამბობს რამაზი, — პირადად მე ჯერ გენერალს გადავკოცნიდი, მერმე ყველას შინ წავიყვანდით, სოფელში, სანამ იქ ყველა ცხვარს არ შევჭამდით და მთელ ღვინოს არ დავლევდით, არც ერთს არ გაგიშვებდით!

—ეგ მშვენიერია, — ამბობს პეტროვი. — მე კი ფულს დავაგროვებდი.

— ვა! — გაიკვირვა რამაზმა. — ეგ რათაო?

— თვითმფრინავი მინდა ვიყიდო, მთელი დედამიწა რომ შემოვიფრინო. სადაც მინდა, დავჯდები, ვიცხოვრებ ჩემს ნებაზე და მერე სხვაგან გავფრინდები.

— ტიხონი სად წავიდა? — კითხულობს ანტონი. — იქნებ შენი თვითმფრინავით გაფრინდა უკვე?

— მაგრამ ჩვენ ხომ აქედან ვერ წავალთ, — ამბობს რამაზი.

ჯარისკაცები კვლავ გაჩუმდნენ.

— გარემოცვის დროსაც არის ქალაქში პროდუქტები? — კითხულობს საშა.

— ალბათ არის, — უპასუხებს პეტროვი. — აბა ერთი, საშა, წყალი გააცხელე. ჩაი ვხვრიპოთ...

საშა განზე გავა, ქვებში პატარა კოცონს გააჩაღებს...

პეტროვი თავის ბლოკნოტს ამოიღებს, ფარანს აანთებს და რაღაცას წერს.

— რაო, ყველაზე წერ ყველაფერს? — ეკითხება რამაზი.

— ყველაზე, — უპასუხებს პეტროვი.

— აქ ხომ არაჩვეულებრივი არაფერია, — განაგრძობს რამაზი. — ჩვეულებრივი ადამიანები არიან...

— მართალია, — ეუბნება ჩაფიქრებული პეტროვი. — ჩემ სიცოცხლეში რამდენი ადამიანი მინახავს! სამუშაოზე მიეჩქაროდათ, სავაჭროებში გამყიდველებს ეჩხუბებოდნენ, ვოგზლებში ლუდს წრუპავდნენ... შემდეგ მხარი-მხარ დადგნენ და ეპოპეასავით გამოვიდა!...

— ობროდო!—ეუბნება ანტონი.—ვის რად უნდა შენი ხაჯლაბნი?

— სიმართლე ყველთვის საჭიროა... მიუგებს პეტროვი.

— ეჰ, მოიტა, მეც სიმართლე ჩავბერო! — ეუბნება რამაზი.

განზე გავა, ქვაზე შედგება და დიდ ხანს ხატავს რაღაცას.

ანტონი და პეტროვი მდუმარედ ეწევიან თამბაქოს.

— მახსოვს, გერმანელები ყუბანს უშენდნენ, — წყნარად ამბობს ანტონი. — ყუმბარით ამოთხრილ ორმოში აღმოვჩნდი.

თავზე ყვითელი — ყვითელი ცა დამყურებს... უეცრად ვგრძნობ, ხელისგულზე მინდვრის წრუწუნა დამახტა: ყურები დაულურსავს, ცახცახებს და თვალებში შემომცქერის...

— ზოგჯერ მინდა, მეც მაგისთანა წრუწუნა ვიყო: წყნარად ამბობს პეტროვი.

უფრო წყნარად ეხმაურება ანტონი:

— მეც...

საშა ბრუნდება და ქვაბით ცხელი წყალი მოაქვს:

— მზადაა, — ამბობს.

— მეც მზად მაქვს, — დასძენს რამაზი. — აბა მომინათე!

პეტროვი ჯიბის ფარანს კლდისაკენ მიმართავს, და ანტონი კითხულობს:

„აქ იდგა სამას ოთხმოცდამეთორმეტე დივიზია“.

— მშვენიერია... — ამბობს პეტროვი.

— მეშინია მხოლოდ, წვიმამ არ ჩამორეცხოს, — ამბობს რამაზი.

ჯარისკაცები ქვაბს შემოუსხდებიან.

— მოდით, მისამართები მივცეთ ერთმანეთს, — იტყვის უეცრად საშა.

ყველანი ეჭვით გადახედავენ ერთმანეთს.

— ყოველი შემთხვევისათვის, — დასძენს იგი.

— ტულის ოლქი, — პირველი დაიწყებს კარნახს პეტროვი, — სოფელი კოსაია გორა, ვერა გაბრიელის ასულ პეტროვას... ან ვაჟს კოლიას. ანდა ქალიშვილს ნადიას...

— ეჰ, პეტროვ! — წამოიძახა რამაზმა, — შენი ბლოკნოტი მეტად დიდ დროს მართმევს! რატომ ერთხელ მაინც არ დაიკვეხნი შვილებს?

— ჯერ არა მყავს. ცოლი ელოდება.

— ზურგს უკან გადააფურთხე, რომ თვალი არ გკრან! — ეუბნება რამაზი.

— არა, — იღიმება პეტროვი, — მჯერა. ყველაფერი კარგად იქნება. თორემ აბა...

— მშვენიერია, — წყნარად ამბობს საშა.

ანტონი განზე გავიდა, სასანგრე ნიჩაბი აიღო და პირს უკეთებს. ღრჭიალებს რკინა, პირდაპირ ნერვებს უხიწინებს. და ნელა, რიტმულად, თითქოს თავისებურად, რკინისებურად ტირის...

— კმარა. ანტონ — ეძახის პეტროვი. — მოდი მისამართი გვითხარი.

ანტონი დუმს, ნიჩაბს პირს უკეთებს...

— საშა, მითხარ, — ეუბნება რამაზი.

— არა, — იღიმება შეცბუნებული საშა. — მე მხოლოდ თქვენი მისამართები მინდოდა გამეგო. მე კი ვერც ვერავის მივწერ...

— როგორ თუ ვერავის? — ეკითხება პეტროვი.

— ვერავის... — იმეორებს საშა.

და ჯარისკაცები კვლავ უცქერიან ანტონს, ის კი თავაუღებლად მეთოდურად განაგრძობს თავის საქმეს...

— გორის რაიონი, — უკარნახებს რამაზი, — სოფელი ატენი, ვაჰ, რა სოფელია. მაღრაძე. როგორ გაუკვირდებათ მოხუცებს, როცა გაიგებენ, რომ გერმანელმა საიქიოს გამგზავნა!

ღრჭიალებს ანტონის ნიჩაბი.

— რატომ გვალოდინებ? — ეძახის მას რამაზი.

— ჩამოგიშვიათ ქვიქვირი! — უეცრად გაჯავრდა ანტონი, — მისამართს არ მოგცემთ; ჩემი ამბის მიწერა არ დაგჭირდებათ. თვითონ დავბრუნდები!

— აკი გითხარით, — აღშფოთდა რამაზი. — მაგასთან არავითარი თამაში არ შეიძლება.

— ერთიც ვნახოთ, ყველა წასულა, — ამბობს საშა. — დივიზიაც და პოლკიც.

— კვლავ ნერვები?! — მიახალა რამაზმა. — ჩვენ რა, გარნიზონი ვართ თუ საცეკვაო მოედანი?

რამდენიმე მაშუქი რაკეტი ავარდება ცაში შორს ამ საცეცხლე წერტის უკან.

ჯარისკაცებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

— ესენი ჩვენები არ არიან, — წაიჩურჩულა პეტროვმა.

თენდება. სინათლე მხოლოდ იგრძნობა.

— თავი გაანებე, — ეუბნება ოთარი. — ბილიკი არ არის, მიხვდი?

— და არ გჯერა?

— რა შუაშია: გჯერა, არ გჯერა? ბანქოს ხომ არ ვთამაშობთ.

— ბილიკი არის! — ვახტანგმა გზა გადაუღობა. — ჩვენ არ გვყვანან... ნამდვილი ვაჟკაცები, მზვერავები, მეომრები, ასეთები იყვნენ ჩემი, შენი წინაპრები, ჩვენ კი მხვრები ვართ, მოწუწუნეები, ბალახები. ისეთები როდი გამოუგზავნია აქ გენერალს.... ჩვენ ცეცხლს პირას უნდა ვისხდეთ და დოს ვყლაპავდეთ. დაწერე პატაკი: დავალება ვერ შევასრულე, ცოცხალი დავრჩი. უფროსი სერჟანტი ოთარ ზერიძე.

მშვიდად — რაღაც ახლებურად უცქერის ოთარი ვახტანგს.

— სიტყვებში სიმართლეა, კომპასი მოქმედებს, — ამბობს იგი.

ვახტანგი უეცრად მხარზე ხელს დაადებს ოთარს:

— იქ ათასობით ადამიანი დგას! იღუპებიან! გესმის? ჩვენი მიზეზით იღუპებიან!

— ჩვენ კი შეგვიძლია...

— ვალდებული ვართ. ეს მეტია, ვიდრე შეგვიძლია. ეს ყველაფერია.

— შენ გგონია, ჩვენ... მე იმის თქმა მინდა... ყველანი... გავალთ აქედან?

— ადამიანს ყველაფერი შეუძლია, — ამბობს ვახტანგი. — ტყვია ესროლე, დაწვი, მოკალი, ის კი მაინც ადგება და წავა.

— ყოჩაღ! მესანგრევ! ნამდვილად გეუბნები. ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვცდებით.

— შეყვარებული ვიქნებით! ვახტანგმა გამოშვერილი კლდიდან თოვლი დააყარა ოთარს. — აი ასე დააფრქვევე ყვავილებს შენს გოგონას.

— კარგი ერთი! — გაეცინა ოთარს და თოვლი დაიფერთხა.

— აბა როგორ? ახირებული ხარ. — ეუბნება ვახტანგი. — გამიგონე მე ამ მთებს ყველაფერი შევწირე: უძილო ღამეებიც და უძილო წლებიც... იმიტომ რომ აქ წელიც ღამესავითაა და ღამეც წელიწადივით. მათ შევწირე ზღვებიც, ველებიც და ქალაქებიც, რომლებიც შემეძლო მენახა. მათ შევწირე გოგონა, ჩემი გოგონა. აი იმ ხრამს ხედავ?

— ვერ ვხედავ — ამბობს ოთარი.

— მე კი მუდამ ვხედავ... გაიგე! მეტად ბევრი რამ საკუთარი მივეცი ამ მთებს, რომ აი ასე უბრალოდ დავკარგო ისინი. ჩემისთანა კი ათასობითაა. უნდა მოიძებნოს ბილიკი, რომლითაც დივიზია უღელტეხილს გადალახავს და რომლითაც უკან დაბრუნდება.

— გამოდის, რომ შენთვის ცდილობ?

— ჩემთვის, მხოლოდ როგორია იგი? მოხდება, რომ მუშში დაეტევა, ზოგჯერ კი... — და ხელები ფართოდ გაშალა, თითქოს მთები, ცა და დედამიწა მოიცოვო...

— მოიცა! — ეუბნება ოთარი. — ისუნთქე! უფრო ღრმად კიდევ უფრო ღრმად! გრძნობ?

— რას? — ეკითხება ვახტანგი.

— ვცოცხლობთ! — გამოფხიზლდა ოთარი — ცხენებზე! — გასცა ბრძანება და კარავში შეიხედა.

მაკეევი გამოდის.

სულ უფრო მკაფიოდ მოისმის მოახლოებულ მესანგრეთა მუშაობის ხმაური, ახლოს წკრიალებენ ყინულსაჭრელები.

წავიდეთ, — აჩქარებს ოთარი გრიგოლს, რომელიც თავიანად ჩამძვრალა საძინებელ ტომარაში.

— სად წავიდე? სამარეში? — ბუტბუტებს გრიგოლი.

—ხომ არ გაგიჟდი? იქ ათასობით ადამიანი იცდის. ჩვენს გამო იღუპებიან!

— მეც ვიღუპები. იმათ გამო.

— თავი გაანებე. — ზიზღით ჩაიქნია ხელი ვახტანგმა. — მოტყდა.

— ადექ! და გასწი დივიზიაში! — უბრძანებს ოთარი.

გრიგოლი დუმს.

— მაკეევ, — ეუბნება ოთარი და გრიგოლისკენ იქნევს თავს. — ეს გაფუჭებული ტვირთი საკომენდანტო ოცეულს ჩააბარე.

— ჩემი ტვირთი როდია, მამძიმებს, — წარბი შეიკრა მაკეევმა.

— კარგი, მე წავიდე, — ამბობს ოთარი. — აი ლეში...

საძინებელი ტომრიდან გამოათრევენ უმოძრაო, სრულიად დაუძლურებულ გრიგოლს.

— მეთაურის მაგიერ ვახტანგი იქნება! — ამბობს ოთარი, გრიგოლს დამბალ ტომარასავით წამოიკიდებს, ერთხელ კიდევ შეიგინება და ქვე დაეშვება.

ვახტანგი და მაკეევი კი მდუმარედ გაემართებიან ზევით ბილიკის საძებრად.

ქარი ტანსაცმელს ჰგლეჯს, სახეს, ხელებს, სხეულს უყინავს მათ. კლდეები ყალყზე დგებიან, ინგრევიან და ჯარისკაცებს მარხავენ მაგრამ ისინი დგებიან და კვლავ წინ მიიწევენ. ყინულსაჭრელნი ყინულში ერჭობიან, ბაგირები ქვებს ეხვევიან, თითქოს ბუნებასა და ადამიანის ნებისყოფას ორთაბრძოლა გაუმართავთო.

ნელა მიიწევს წინ ვახტანგი. მას კვალდაკვალ მისდევს მაკეევი. იგი დაძაბულად უცქერის ვახტანგს, მისი თვალი თითქოს ვახტანგის მთელ არსებას მსჭვალავს. უცქერის ნაკვალევს, რასაც მისი გაცვეთილი ფეხსაცმელი ტოვებს თოვლში, უცქერის მის დაფლეთილ კურტკას, მოხრილ ზურგს, ქარით გარუჯულ კვინიხს...

— სდექ! — უძახის მაკეევი. — მეორედ უბრუნდები ამ ადგილს! ტრიალებ, ტიალო?

— აქ ბილიკია, — გულგრილად ეუბნება ვახტანგი.— თოვლში ჩაძვერი ყინული ღრღენ, მაგრამ ეძიე... ეძიე. ყველაფერი დაივიწყე! ბილიკი ეძიე!

— მე ვინ გგონივარ? — აბუზუნდა მაკეევი. — სულ მიჭკარავ! ბილიკი არ არის! და არც არასოდეს ყოფილა! გესმის?! ქვათამეცნიერო. და მუქარით მოიქნია ყინულსაჭრელი. — ჩუმად! — დინჯად უპასუხებს ვახტანგი. — მეორედ არ ამომაღებინო რევოლვერი.

— მაკეევ, ნუ აშინებ, შე თვალებგამოტყვლულო! სად არის ბილიკი?! უცხო ხარ! იქ ათასობით ადამიანი დგას. შენს გამო იღუპებიან მაგისთვის როდი წამოსულხარ მოხალისედ...

მაკეევმა მხარში ხელი ჩაავლო ვახტანგს, და ანაზდად გადმოინთხა ადამიანთა გულში დაგროვებული ბოღმა, და გაიმართა უაზრო, გააფთრებული ჩხუბი. ერთმანეთს ეძგერნენ, ფერდობზე გორავენ და სასწაულით არ იჩეხებიან უფსკრულში, ადგებიან, კვლავ ეცემიან ერთმანეთს.

ჩხუბით გატაცებულმა ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გამოჩნდნენ ქვემოთ მესანგრეები.

— შეჩერდით! შეჩერდით! — უყვირის აქოშინებული კულიკოვი. — რა ამბავია... ეს რა ამბავია.

ვახტანგი და მაკეევი დუმან.

— დივიზია იღუპება, იღუპება და იღუპება... თქვენ კი...

ვახტანგი და მაკეევი დუმან.

— სად არის ბილიკი?!

ბურუსიდან გამოდის განსაკუთრებული განყოფილების უფროსი ვაკელი. დათოვლილი ნაბადი ასხია, თასმით ავტომატი ჰკიდია.

— ბილიკი სად არის? შემოგვიტყუე, არამზადავ?! — უყვირის ვახტანგს. — დააპატიმრეთ! ორივე დააპატიმრეთ! მოქალაქე ლოლაძე იქვე დახვრიტეთ, თუ გაქცევა ოდნავ მაინც სცადოს!!

ერთ-ერთმა მესანგრემ ავტომატი მოიმარჯვა:

— ინავარდეთ და გეყოთ, — ვახტანგი და მაკეევი კარავში მიჰყავს.

— დაუყოვნებლივ მოაგვარეთ მოძრაობა! — ბრძანებს ვაკელი.

კულიკოვი და მესანგრეები ბურუსში მიდიან საძვერავად.

ვახტანგი და მაკეევი კარავში სხედან. მეავტომატე სდარაჯობთ.

— მარჯვე კი ხარ, მუდრეგო, — მოწონებით ეუბნება მაკეევი და ხელებს იფშვნეტს.

— გაგიჟდი, მაკეევ? — ამბობს გაჯავრებული ვახტანგი.

— ოდნავ, — ეთანხმება მაკეევი. — ვფრენ.

— მოიცა, — ეუბნება ვახტანგი და რაღაცას დაძაბულად ფიქრობს.

— გამიგონე, გამიგონე, მაკეევ! გახსოვს უფსკრულისაკენ მივგორავდით და მერე უეცრად შევჩერდით? რატომ? გესმის, რატომ? იქ ბილიკი იყო! იცი, ჯანდაბას შენი თავი! ბილიკი იყო, ჩვენ ბილიკზე ჩავგორდით! გესმის?

— იმათ უთხარი, — ურჩევს მაკეევი. — დიდი მნიშვნელობა აქვს. სანამ გასავალში არ გავუწერივართ.

— რომ ვცდებოდე? — ყოყმანობს ვახტანგი.

— მაშ წადი და შეამოწმე, — უჩურჩულებს მაკეევი.

— წადით... — და ვახტანგი მესანგრეს გადაჰხედავს.

— გამიგონე, მეგობარო, — ჩაფიქრებული მიმართავს დარაჯს მაკეევი. — გასახვევი ხომ არა გაქვს?

ჯარისკაცმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და ამ დროს მაკეევმა თავისი მძლავრი მკლავები შემოხვია და ქვეშ ამოიდო იგი.

— გაიქე, ქვათამეცნიერო, — უყვირის იგი ვახტანგს.

ვახტანგმა გარეთ გავარდნა დააპირა, მაგრამ უმალ შედგა. არ შემიძლია... თუ ბილიკი არაა, შენ... კედელზე მიგაყუდებენ.

— შენ კი მოძებნე! — იძახის მაკეევი.

და ვახტანგი კისრისტეხით გავარდება კარავიდან.

სადღაც მიფოფხავს, მოსხლტება, კვლავ აცოცდება, იჩქარის, ნერვიულობს, გაუფრთხილებლად ადგამს ფეხს, თოვლი ჩაუტყდება, ჩავარდება, მიბობღავს, დაგორდება და ხელით დაუწყებს თოვლს თხრას, ჯერ ერთ ადგილას. მერმე მეორე ადგილას, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯს გადაადგამს და კვლავ თხრის, ქექავს...

და ქანცგამოლეული გაქვავდება ყინულის პატარა აბრჭყვიალებული ნატეხის წინაშე.

— ვიპოვენე, — ჩურჩულებს და თვალები სიხარულის ცრემლებით ევსება. — ვიპოვენე...

რამაზის საცეცხლე წერტი. დილაადრიანია. ჯარისკაცებს ძინავთ. საგუშაგოზეა საშა. გარშემო სიცარიელე და სიჩუმეა.

— საშა! — უეცრად იქვე გაისმის ვიღაცის ჩურჩული.

— ტიხონ? — ამბობს გაკვირვებული და შეშინებული საშა.

— ჩუმად! — ჩურჩულებს ტიხონი. — პოლკს მოწყვეტილი ვართ.

ყველგან გერმანელები არიან, გესმის? ყველგან. ყოველი ბუჩქის უკან, ყოველი ხის უკან. ყოველი...

— შტაბში იყავი?

— რომელ შტაბში? — ცახცახებს ტიხონი. — თხრილში ვიყავი. კონტუზია... იქვე აფეთქდა... მეგონა, მოვკვდიმეთქი. მე კი სიკვდილი არ მინდა!

— მაშასადამე, შტაბში ჩვენზე არაფერი არ იციან?

— ძალიან კი ესაჭიროები იმათ! არავის არ ვესაჭიროებით. დასასრული ახლოვდება, მე კი სიკვდილი არ მინდა! წავიდეთ,

— საშა! ეს პირუტყვები ვერ გაიგებენ. — ტიხონმა მძინარე ჯარისკაცები ანიშნა. — შენ კი გაიგებ. იქაც ადამიანები არიან. კულტურა. შენ მუსიკოსი ხარ, კულტურა გესაჭიროება! ჩაიკოვსკი იქნები.

— წავიდეთ, — ამბობს საშა.

— ყოჩაღ, — ჩურჩულებს ტიხონი. — ვიცოდი. ისე გიცქერი, როგორც უმცროს ძმას...

იგი სწრაფად ჩადის ხეობაში საშა რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და შეჩერდება.

ცდილობს დაუძახოს ტიხონს, მაგრამ არ შეუძლია — ყელი შეეკრა.

— რას შვრები? — მოუბრუნდა ტიხონი.

და სწორედ ამ დროს საშა თოფს ესვრის.

ჯარისკაცები გამოცვივიან.

— რა ამბავია? რაო? რა მოხდა? — ეკითხებიან საშას.

იგი კი მდუმარედ ჩამოჯდება ქვაზე, კანკალებს, კბილები უკაწკაწებს. პეტროვი ფარაჯს მოახურავს.

— ტიხონი... — ძლივს წაიბლუკუნებს საშა. — გერმანელების მხარეზე გადასვლას მთავაზობდა... ჩვენ გარემოცული ვართ...

— ნერვები დაიწყნარე! — უბრძანებს რამაზი. — მივდივართ!

ჯარისკაცები სწრაფად იკრავენ ბარგს, იღებენ სასანგრე ნიჩბებს, იღებენ იარაღს.

— დაიღუპოს ასეთი დრო, — ბუზღუნებს პეტროვი.

— არაფერი დატოვოთ! — ბრძანებს რამაზი.

და აი ყველაფერი მზადაა წასასვლელად. რამაზი ერთხელ კიდევ მოავლებს თვალს იქაურობას, ხომ არაფერი დარჩენილაო.

— წავედით, — ამბობს იგი.

ჯარისკაცებმა ფეხი გადადგეს თუ არა იქვე გაქვავდნენ: სადღაც ხეობის სიღრმეში ტანკები აჭრიხინდნენ.

ჯარისკაცები გაუბედავად შესცქერიან ერთმანეთს.

ანტონმა პირველმა დააგდო ჩანთა, ფარაჯა გაიხადა.

— მე გიბრძანებთ წადით-მეთქი, — უყვირის რამაზი.

— წადი, — მშვიდად ეუბნება ანტონი.

— ბრძანებას არ ემორჩილები?

ანტონი უხმოდ დგამს ტყვიამფრქვევს, უკეთებს ლენტს. თავიანთი ჩანთები დაყარეს აგრეთვე პეტროვმა და საშამ. მხოლოდ რამაზი ყოყმანობს, არ იცის, როგორ მოიქცეს.

ანტონი იქით იცქირება, სადაც კლდეები წამოწვდილან და ვიწრო, მეტად ვიწრო გასასვლელი დაუტოვებიათ, და ამბობს:

ეს გასასვლელი უნდა ჩაიხერგოს თორემ...

— კარგია, — ამბობს პეტროვი და ხევში ჩადის.

გაჯავრებულმა რამაზმა ჩანთა იქით მიაგდო, ფარაჯა გაიხადა და ანტონს მიჰყვა.

ანტონი ხელს [illegible] იარაღს და დაძაბული უცქერის, როგორ მობობღავენ პეტროვი და რამაზი. იქვე საშა დგას ტყვიამფრქვევთან. იგი არაბუნებრივად მშვიდია, გულგრილია.

— როგორ [illegible] — [illegible] ანტონი და თვალს არ აშორებს [illegible].

საშამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა — მისთვის ახლა ყველაფერი სულერთია.

ჯარისკაცები სულ უფრო უახლოვდებიან მიზანს.

და ანაზდად ხეობის სიღრმეში, ვიწრო გასასვლელის იქითა მხარეს გამოჩნდა გერმანელთა ორი ტანკი.

— ტანკები ხეობაშია პირდაპირ! — იძახის რამაზი.

ტანკები მზარდი რახრახით სწრაფად მოიწევენ წინ.

პეტროვმა რამაზს გადახედა: „მოვასწრებთ?“ და უფრო სწრაფად წაცოცდა. რამაზმა კიდევ რამდენიმე მეტრი გაიარა და უეცრად სულ ახლოს დაინახა ტანკები, შიშით უკან გაბრუნდა, გაცოცდა, წამოხტა, გაიქცა, წაიბორძიკა, დაეცა, და კვლავ წამოხტა...

ტკივილმა და ზიზღმა დაუმანჭა სახე ანტონს. ძლივს შეიკავა თავი, რომ ავტომატი არ დაეშინა. საშამ შიშით დააჭყიტა თვალები.

პეტროვი კი? ნუ თუ ვერ მოასწრებს?

მოწინავე ტანკი უკვე შემოდის.

და მყის მთელი ტანით აღიმართება პეტროვი ქვებში, გრანატებს მოიმარჯვებს და ტანკისაკენ გაექანება. თითქმის ერთსა და იმავე დროს აკაკანდა „ედელვაისთა“ ტყვიამფრქვევი, როცა პეტროვმა გრანატი ესროლა და თვითონ დაეცა.

აფეთქება! აღრჭიალდა რკინა, ტანკს ცეცხლი მოედო, უშნოდ გადაიხარა გვერდზე და გასასვლელი გადაღობა.

პეტროვმა ძლივს ასწია თავი, მკერდზე ხელი მიიდო, დაჰხედა — სისხლიანია.

— ეს კარგი... იყო... — უკანასკნელად თქვა.

ანტონი და საშა ტყვიას უშენენ ტანკიდან გამომხტარ გერმანელებს და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ რამაზს, მათს უკან რომ ზის და გონზე ვერ მოსულა შიშის გამო, ახლა კიდევ სირცხვილის გამო.

ცოტა ხნის შემდეგ რამაზიც მიუწვება ტყვიამფრქვევს და ისვრის...

ოფლიანი, ნახევრადმშიერი, სისხლითა და ტალახით მოსვრილი ჯარისკაცები იგერიებენ მოწინააღმდეგის მორიგ იერიშს. ანტონს სახეზე გაჰქვავებია სიხარულის ღიმილი, თუ ჭმუნვა. დამშვიდებულია საშას გულგრილი სახე. რამაზს ტუჩი მოუკუმავს, ძალა მოუკრებია და ისვრის.

ანტონი მეთაურობს. არც იგი და არც ანტონი არ იცქირება რამაზისაკენ, რომელიც თვალს არ აშორებს მათ, თითქოს რაღაცას ეკითხება ან თხოვსო.

და აი კიდევ ერთი იერიში მოგერიებულია. გერმანელები უკან იხევენ, უხარმაზარ ქვებსა და დამწვარ ტანკს ეფარებიან ხეობის სიღრმეში.

ანტონი გულმოსკვნით ხარხარებს:

— სად გარბით, სად, არამზადებო? ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ: საშა ვასილევი და ანტონ ჩაჩავა! აბა სად გარბიხართ?!

საშა გულგრილად ასხამს წყალს ტყვიამფრქვევის გარსაცმში.

რამაზს ტკივილით სახე დაემანჭა: განა იგი მესამე არაა?

— ტრიუფელის სუნი უდის,—წყნარად, სადღაც განზე ამბობს საშა.

— რაო? — ეკითხება ანტონი და გიმნასტურით ოფლს იწმენდს.

კვლავ წყნარად, ერთითვე განზე, ისეთივე გულგრილობით საშა ამბობს:

— ტყვიამფრქვევს — მეთქი, ტრიუფელის სუნი სდის... კამფეტია ასეთი...

ნალმი იფეთქებს, საშა ჯიქურ მოწყდება, გვერდზე გადაბრუნდება და გაითანგება.

ანტონი გააფთრებით უყვირის:

— არ გაბედო! გესმის? არ გაბედო!

საშა უცნაურად დამშვიდებული თვალით შესცქერის.

სიბრალულითა და თანაგრძნობით გაიმსჭვალა სახე რამაზს.

ანტონი ადგომას ცდილობს და არ შეუძლია: ფეხებშია დაჭრილი. და მაშინ გულამა გადაბრუნდება, ცას შესცქერის და წყნარად ამბობს:

— არ შეიძლება, საშა... აგრე არ შეიძლება... ერთი რამ უნდა გითხრა... შენ უნდა იცოცხლო...

და გერმანელები კვლავ შეტევაზე გადადიან...

წვიმა ცრის, წვრილად, ნერვულად, და თითქოს მას ეხმიანებაო, ცახცახებს ორი ტყვიამფრქვევი.

— ანტონ! — იძახის რამაზი.

ანტონი არ უპასუხებს.

— ანტონ! — კვლავ იძახის რამაზი.

ანტონს ან არ სურს უპასუხოს ანდა არ ესმის რამაზის ძახილი ტყვიამფრქვევის რახრახის გამო.

მაგრამ აი კიდევ მოგერიებულია ერთი იერიში და უეცრად ჩამოვარდება დაუჯერებელი სიჩუმე.

— ანტონ! იძახის რამაზი.

ანტონი დუმს.

— ერთი სიტყვა მაინც მითხარი! — უყვირის რამაზი.

„ედელვაისების“ ახალი იერიში. ანტონი კვლავ მიუწვება ტყვიამფრქვევს, და ამ მომენტში ნალმის ნამსხვრევი ბოლოს უღებს.

რამაზი ხედავს ამას.

— ანტონ, — უყვირის იგი. — არ წავალ! გესმის? არსად არ წავალ!

და გააფთრებული ცხრილავს ტყვიამფრქვევით მთელ ხეობას. მოგერიებულია კიდევ ერთი იერიში.

მაგრამ აი სადღაც სულ ახლოს სკდება ნაღმი. რამაზს სროლა აღარ შეუძლია. გულამა წევს და ვერ ხედავს, რა ფრთხილად მოიწევენ წინ „ედელვაისები“, რაიმე ხაფანგი არ იყოს დაგებულიო.

რამაზი გვერდით მოსაზრავს გრანატების კონას. ერთს აიღებს, რგოლს გამოაძრობს და ხელკაურმა ისვრის ქვემოთ, შემდეგ მეორეს, მესამეს...

მაგრამ ისინი უკვე არავითარ ზარალს არ აყენებენ „ედელვაისებს“, რომლებმაც გვერდი უქციეს კლდეს და სულ უფრო უახლოვდებიან რამაზს.

და აი ქვებში ამოჰყვეს თავი და ზედ მიადგნენ რამაზს. იგი მათ ვერც ხედავს და ვერც გრძნობს, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მტერმა მისკენ წაიღო ხელი, რამაზმა გრანატს რგოლი დააძრო. მაგრამ სროლა აღარ ძალუძს გრანატი იქვე აფეთქდება და ავარდნილი კვამლი ყველაფერს დაფარავს...

ხოლო როცა ბოლი გაიფანტება — იქ აღარავინაა.

მხოლოდ კლდეზე მოჩანს უსწორ-მასწორო წარწერა:

„აქ იდგა 392-ე მსროლელი დივიზია“.

თარგმანი

არისტო შუმბაძისა.

მხატვრობა ვ. როინიშვილისა.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მთები და წლები

ამ შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანაში საზეიმო ვითარებაში აღინიშნება საბჭოთა ალპინიზმის მე-40 წლისთავი. ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიაში იქმნება საიუბილეო ფილმი „მთები და წლები“. ფილმის სცენარის ავტორები არიან ე. სიმონოვი და ქ. ჯავრიშვილი, ოპერატორები ბ. კრეპსი და ო. დეკანოსიძე.

მდიდარი სამუზეუმო კინოფოტომასალების გამოყენებით ფილმის ავტორები მაყურებლებს გააცნობენ მთამსვლელების, სპორტის ამ უმამაცესი ადამიანების ცხოვრებას, მათ ძლევამოსილ ლაშქრობებს უმაღლეს მწვერვალებზე. ფილმში ნაჩვენები იქნება 1923 წელს აგვისტოში საბჭოთა ალპინისტების პირველი მასობრივი ასვლა ყაზბეგზე. კადრები აცოცხლებენ გამოჩენილი ქართველი ალპინისტის ალიოშა ჯაფარიძის სახეს, ამაღლევებელ სურათებს, როცა ქართველმა ქალმა ალექსანდრა ჯაფარიძემ თავისი ძმის ხსოვნის უკვდავსაყოფად დალაშქრა უშბა. საქართველოს ალპინისტების გმირულ, მამაცურ ლაშქრობათა კიდევ მრავალი საინტერესო ამბავი შევა კინოსურათში. ფილმის ერთ-ერთი ავტორი, ოპერატორი ბორის კრეპსი ხომ მუდამ თან ახლდა ქართველ ალპინისტებს სვანეთში თუ პამირზე. მათთან ერთად მიიწევდა უმაღლესი მწვერვალებისაკენ, მათთან ერთად მიდიოდა ყინულოვანი ნაპრალების და ხევების თავზე მაშინ, როცა სულ პატარა წინდაუხედავ მოძრაობას შეეძლო ემსხვერპლა ადამიანის სიცოცხლე, ბორის კრეპსი კინოაპარატით ხელში ფირზე აღბეჭდავდა ყინულეთის მომხიბლავ პეიზაჟებს, ყინულის ლოლუებისაგან ნაქსოვ სასახლეებს. ვინ მოთვლის, ბუნების რამდენი საკვირველება გამოუტაცნია მთათა სამფლობელოსათვის ოპერატორის კამერას, რამდენი მომხიბლავი პეიზაჟი მიუტანია მაყურებლის ხედვამდე. მაგრამ პირველ რიგში მისთვის ყოველთვის მთავარი იყო ის მამაცი ადამიანები, რომლებიც უშიშრად მიარღვევდნენ დაბრკოლებებს და ადიოდნენ უმაღლეს მწვერვალებზე.

ბორის კრეპსმა თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში სხვა მრავალ დოკუმენტურ ფილმთან ერთად შექმნა 15 ფილმი საბჭოთა ალპინისტებზე. ბევრმა მათგანმა მოწონება დაიმსახურა არა მარტო ჩვენს სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, საერთაშორისო ფესტივალებზე.

ამას წინათ ბ. კრეპსის ბოლო ნამუშევარი — „დაუმთავრებელი დღიური“, ფილმი, სადაც ნაჩვენები იყო ქართველი ალპინისტების შტურმი ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალ „გამარჯვებაზე“ ჯუმბერ მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით და გადმოცემული იყო სამი მამაცი ალპინისტის დაღუპვა, გაიგზავნა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ტრენტოში, სადაც გაიმართება ალპინიზმის ამსახველი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი.

საიუბილეო ფილმი „მთები და წლები“ ეკრანებზე დემონსტრირებული იქნება საბჭოთა ალპინიზმის იუბილეს დღეებში.

ლ. ტატიშვილი.

ხელოვნების ქრონიკა

სამტრედია. (საკ. კორ.). გორის ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა გასტროლების პერიოდში სამტრედიელ მაყურებელს უჩვენა ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“, გ. ივანიშვილის — „შემთხვევა გზაზე“, ლესინგის — „ემილია გალოტი“ და სხვა დადგმები.

ბორჯომის სახალხო თეატრმა მაყურებელს ქართულ სცენაზე პირველად უჩვენა ამერიკელი დრამატურგის ა. მილერის პიესა „ხედი ხიდიდან“.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ბორჯომის სახალხო თეატრის რეჟისორმა გ. ხმალაძემ. მხატვრობა ეკუთვნის ი. რუბინშტეინს, მუსიკა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ მ. დავითაშვილს, პიესა თარგმნა ნ. ხუციშვილმა.

ო. სტაჟაძე.

აგიტმხატვრული ბრიგადა იალაღებზე

სიღნაღი. (საკ. კორ.). ქვემო მაჩხაანის კულტურის სახლი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. აქ ხშირად ეწყობა ლექციამოხსენებები, საუბრები, იმართება კონცერტები. ამას წინათ აგიტმხატვრული ბრიგადა ესტუმრა საზაფხულო იალაღებზე მყოფ მეცხვარეებს.

ბრიგადამ კონცერტები გამართა გამარჯვების, ოზაანის, ბოდბისხევის, ბოდბის, ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანის, არბოშიკისა და სხვა კოლმეურნეობების მეცხვარეებთან. ქვემომაჩხაანელები საინტერესო პროგრამით წარსდგნენ აგრეთვე ახალქალაქისა და ახალციხის რაიონების მთელი რიგი სოფლების კოლმეურნეებთან.

კულტურის ახალი კერა

წლების განმავლობაში სამტრედიის რაიონის სოფელ მათხოჯის მშრომელები თითქმის მოკლებული იყვნენ კულტურულ გართობას. მათხოჯელებს არ გააჩნდათ კინოდარბაზი, და კინოსურათის ნახვა, ისიც იშვიათად, ღია ცის ქვეშ უხდებოდათ.

ამას წინათ სოფლელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. აქ აიგო 300-ადგილიანი კინოდარბაზი, სადაც უჩვენებენ კინოსურათებს, აგრეთვე სამტრედიისა და წულუკიძის კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივის სპექტაკლებს.

ი. გოგოლაძე.

ს. მ. ჟღენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგი მიხეილის-ძე ჟღენტი.

ს. ჟღენტი დაიბადა 1912 წელს სოფელ ქვენობანში (ჩოხატაური). საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1927 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წარმატებით დაამთავრა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა ასპირანტად ზოგადი ენათმეცნიერების კათედრასთან ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის სპეციალობით. ასპირანტურაში მუშაობდა პროფ. გ. ახვლედიანისა და პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით.

საასპირანტო კურსის დასამთავრებლად 1931 წელს ს. ჟღენტი მივლინებულ იქნა ლენინგრადს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ენისა და აზროვნების“ ინსტიტუტში, სადაც მუშაობა განაგრძო პროფ. ქ. დონდუას ხელმძღვანელობით. 1935 წელს, ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ, იგი იცავს საკანდიდატო დისერტაციას ქართულ დიალექტოლოგიაში. აკად. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით დაწყებული კვლევა ექსპერიმენტულ ფონეტიკაში მან განაგრძო ლენინგრადისა და მოსკოვის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებში, კერძოდ აკად. ლ. შჩერბას ხელმძღვანელობით.

იგი სისტემატურად იკვლევდა ქართველურ ენათა ფონეტიკის პრობლემებს. ამ დარგში განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტალური შრომა „სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1948 წელს და მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იგი დამტკიცებულ იქნა აგრეთვე პროფესორის სამეცნიერო წოდებაში.

1933 წლიდან ს. ჟღენტი ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1936 წლიდან დღემდე იგი კითხულობდა მთელ რიგ საენათმეცნიერო დისციპლინებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1937-41 წლებში მუშაობდა ქართული ენის კათედრის გამგედ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1948-49 წლებში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, 1948-50 წლებში უცხოურ ენათა ინსტიტუტის ზოგადი ფილოლოგიის კათედრის გამგე. 13 წლის განმავლობაში — 1949-1962 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტის პრორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში.

პროფ. ს. ჟღენტმა აკად. გ. ახვლედიანთან ერთად ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ექსპერიმენტული ფონეტიკის სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიები, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა. ექსპერიმენტული ფონეტიკის სამეცნიერო ლაბორატორიებში შექმნილმა ნაშრომებმა და მოხსენებებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. ახლახან პროფ. ს. ჟღენტი არჩეულ იქნა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საენათმეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად.

პროფ. ს. ჟღენტის კალამს ეკუთვნის 70-მდე სამეცნიერო შრომა. მისი მონოგრაფიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ქართული ენის ფონეტიკა“, „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“, „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“ და სხვ. საყურადღებოა, რომ პროფ. ს. ჟღენტი საგანგებოდ იკვლევდა ქართული ენის აქცენტუაციის საკითხებს.

ს. ჟღენტი იყო დაუღალავი საზოგადო მოღვაწე, სტუდენტებისა და ასპირანტების აღმზრდელი, პედაგოგი და ხელმძღვანელი.

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს პროფ. ს. ჟღენტის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

ს. ჟღენტი იყო უაღრესად გულისხმიერი, გულთბილი და თავმდაბალი ადამიანი, რომლის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ქართველ ენათმეცნიერთა, ნაცნობ-მეგობართა და მოწაფეთა შორის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

საინტერესო შეხვედრა

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კლუბში შეიკრიბნენ კინოსტუდიის მუშაკები, ჟურნალისტები, შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქ საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირმა შეხვედრა მოუწყო ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიის მუშაკს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს გიორგი ასათიანს.

გიორგი ასათიანი საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის დამსახურებულ ანსამბლთან ერთად მოგზაურობდა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. იგი ფირზე აღბეჭდავდა ჩვენი სახელოვანი კოლექტივის ტრიუმფალურ გამოსვლებს ამ ქვეყნებში, იღებდა იმ შეხვედრებს, რომლებსაც უმართავდნენ საქართველოს წარგზავნილებს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის საზოგადოებრიობა, აგრეთვე აღბეჭდავდა მრავალ ღირსშესანიშნაობებს, საინტერესო ამბებს, რომლებსაც ჩვენი მაყურებელი გაეცნობა მის მომავალ ფილმში.

გიორგი ასათიანმა დამსწრეთ გააცნო ამ მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებანი, ილაპარაკა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც მას ხვდებოდა გადაღებების დროს უცხო ქვეყნებში.

შეხვედრის დასასრულს ნაჩვენები იქნა ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიის ახალი ფილმი „უძველესი კულტურის ქვეყანა“ (ტუნისი), რომლის სცენარი, რეჟისურა ეკუთვნის გ. ასათიანს. ოპერატორები არიან გ. ასათიანი და ო. დეკანოსიძე.

საზოგადოებრივ საწყისებზე

გორი. (საკ. კორ.). სკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ ბევრი სიახლეა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში. ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს ბიბლიოთეკა, რომელსაც მონტიორი ოთარ სლონოვი ხელმძღვანელობს. ბიბლიოთეკაში მკითხველებისათვის ხშირად ეწყობა საუბრები მოწინავე აგროტექნიკის საკითხებზე, რომელთა განმარტებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეურნეობის წამყვანი სპეციალისტები.

საზოგადოებრივ საწყისებზე კარგად მოაწყო მუშაობა აგრეთვე ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბიბლიოთეკამ (გამგე მეურნეობის მოანგარიშე მ. ქობლიანიძე). აქ მოეწყო მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „მეურნეობის შუქურები“.

ახალქალაქის კულტურის სახლთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის მოწინავე თა გამოცდილების კაბინეტი, რომლის გამგეა კოლმეურნეობის აგრონომი ი. ბაკურაძე.

მკითხველთა ფოტონამუშევრებიდან

პატარა დიასახლისი.

ფოტოეტიუდი ჯ. ბაქანიძისა.

შვილი

დამიჯერე, ჩემი შენდამი ტრფიალი ხალასი სიყვარულით არის ნაკარნახევი, — გულწრფელად ეუბნებოდა თბილისიდან სასწავლებლად ჩასული სერგო სხირტლაძე საცოლედ ამორჩეულ ოდესელ ლუბა ჩმალოვას და თავისი სიტყვებისათვის მეტი რწმენა რომ მიეცა, წინა დღეს ნაყიდი ბეჭედი თითზე მოარგო, — ახლა რაღა გაქვს სათქმელი, რას მისაყვედურებ, დანიშნული ხარ, ხვალ კი ყველა შეიტყობს, ოფიციალურად გავფორმდებით.

თავდახრილი ქალიშვილი სანდოდ მიეკრძნობოდა ჭაბუკს და დახანების შემდეგ ძლივს-ღა მოახერხა, რომ ეთქვა:

— რა ვიცი, თქვენებს რომ არ მოეწონო, მერე?

— მაგაზე ნუ იდარდებ, ჩემს არჩევანს წუნს ვერავინ დასდებს, — ანუგეშა სერგომ, — მშობლები, ძმები, პირიქით, შენისთანა რძლის მიყვანისათვის შემაქებენ...

საქმე იმით დასრულდა, რომ მეორე დღეს სერგო და ლუბა შეუღლდნენ, მეგობრებმა და ნათესავებმა მათ ბედნიერება მიულოცეს.

ეს მოხდა 1940 წლის სექტემბრის მიწურულში. 8-9 თვის შემდეგ ოდესის საფინანსო დარგის მუშაკთა დახელოვნების სასწავლებელმა სერგო სხირტლაძე პრაქტიკული სტაჟის გასავლელად თბილისში მიავლინა. ლუბას ახლობლებმა სერგოს სთხოვეს, რომ მის მეუღლეს მშობლებთან მოელოგინებინა.

თბილისისაკენ მიმავალ სერგოს გზაზე თავზარდამცემმა ამბავმა მოუსწრო: გერმანელი დამპყრობლები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. სერგომ უკან გაბრუნება ვეღარ შეძლო, იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

მრისხანე ომის მთელ პერიოდში სერგომ ყველა საშუალებას მიმართა, რომ დაკავშირებოდა ოდესაში მყოფ მეუღლეს, ნაცნობებს, შეეტყო თავისიანების ამბავი, მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაიარა — პასუხი არსაიდან არ იყო. ამას ისიც დაემატა, რომ ოდესა ფაშისტებმა ჩაიგდეს ხელში.

„ნეტავი სად და როგორ არის ლუბა, რა შეეძინა: ძე თუ ასული?..“.

ასეთი ფიქრები ყოველთვის თან სდევდა სერგო სხირტლაძეს.

...ომი დამთავრდა. ომგადახდილი საბჭოთა ადამიანები ერთმანეთს ულოცავდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას, ამ დროს კი სერგოს მშობლები და ძმები გლოვობდნენ შვილისა და ძმის დაღუპვას, მათ ხომ სერგოს უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა ჰქონდათ მიღებული. მაგრამ ცხოვრებაში ერთეული შემთხვევა როდია, როცა ესა თუ ის მოვლენა უცნაურად წარიმართება. სინამდვილეში მტერთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს სერგო სხირტლაძე მძიმედ დაიჭრა. იგი რამდენიმე დღის შემდეგ იპოვნეს. უგრძნობი ავადმყოფი ძლივს მოასულიერეს...

გამოჯანსაღებისთანავე სერგო ოდესაში ჩავიდა, მაგრამ ამაოდ, ჩმალოვების ბინა და ახლო-მახლო სახლები ნანგრევებად იყო ქცეული. მიიკითხ-მოიკითხა ლუბა, მაგრამ მის კვალს ვერა და ვერ მიაგნო.

სხვა რა გზა ჰქონდა სერგოს, იგი თბილისში დაბრუნდა, დაცოლშვილდა კიდეც, ხოლო ოდესაში დაკარგული მეუღლის სიყვარული, მასთან გატარებული ხანმოკლე დღეების მოგონება მოსვენებას უკარგავდა, სტანჯავდა.

ვინ იცის, ხომ შეიძლება ლუბა და ახლად შობილი ბავშვი ფაშისტებმა იმსხვერპლეს? გაიფიქრებდა ხოლმე, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში მაინც ინახავდა იმედს: იქნებ სადმე იყვნენ ცოცხლები.

...გავიდა ორ ათეულ წელზე მეტი. ამას წინათ სერგო სხირტლაძე სამსახურიდან დაბრუნებული კვლავ ფიქრებს გაეტაცნა. იგი ეზოში შესასვლელ კართან უცნობმა, ბრგე ახალგაზრდა ვაჟმა შეაჩერა და ჰკითხა:

— მაპატიეთ, ამ სახლში ცხოვრობთ?

— დიახ, — მიუგო სერგომ.

— სერგო ივანეს-ძე სხირტლაძეს ხომ არ იცნობთ?

— მერე... — დაიბნა სერგო, — რა გნებავთ, ვინ ბრძანდებით?

— მე ოთარ სხირტლაძე ვარ, სერგოს შვილი.

— სერგო სხირტლაძის? ესე იგი ჩემი? შვილო!!

— მა-მა!

* * *

სერგო სხირტლაძის მეუღლეს 1941 წლის 24 ივნისს ვაჟი შეეძინა. ომი მძვინვარებდა, ლუბა თავისი პატარათი საცხოვრებლად ევაკუაციით შორეულ აღმოსავლეთში გადავიდა. ლუბა ომის დამთავრებას უცდიდა. როცა ქმრის დაღუპვა შეიტყო, გათხოვდა, ამის შემდეგ ოთარი მამინაცვლის გვარს ატარებდა. ბოლოს, როცა ლუბამ გაიგო სერგოს მშვიდობით დაბრუნება, ოთარს ყველაფერი მოუყვა, უთხრა ვისი შვილიც იყო. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ოთარი ჩამოვიდა თავის მამასთან, ბებიასთან, პაპასთან, ბიძებთან და ნათესავებთან, რათა მშობლიური სითბო და ალერსი ეგემნა.

და ოთარ სხირტლაძემ ყოველივე ეს უხვად განიცადა.

გ. პაპიაშვილი.

* * *

სურათზე: მამა და შვილი სერგო და ოთარ სხირტლაძეები.

მოკლედ

ამ დღეებში ქ. სამტრედიაში საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლა-ინტერნატის სამსართულიანი შენობა, რომელიც 245 ბავშვისათვის არის განკუთვნილი. სკოლას აქვს სასწავლო, საძინებელი, სასადილო, სამზარეულო და სამეურნეო მომსახურების ოთახები.

ნ. მანჯგალაძე.

დაბა ვანში კავშირგაბმულობის საფოსტო განყოფილებისათვის აშენდა ახალი შენობა. ფოსტა აწარმოებს ამანათების, ფასიანი წერილებისა და ბანდეროლების მიღება-გაცემას, ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, ტელეფონისა და რადიოწერტების სააბონენტო გადასახადის მიღებას და სხვა ოპერაციებს.

გ. მჟავანაძე.

რესპუბლიკაში ტვირთზიდვის, კილომეტრგარბენის, მგზავრების გადაყვანის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გურჯაანის ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშებს მეორედ გადაეცათ საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშა.

უ. მოსესოვი.

ჯანმრთელობის სტიმულატორები

ადამიანის სისხლის თხევადი ნაწილი — შრატი ბევრ ცილებს შეიცავს. მათგან ყველაზე ფასეულს პოულობენ გამაგლობულინის ფრაქციაში — ანტისხეულებს ყივანახველის, ინფექციური სიყვითლის, გრიპის, ქუნთრუშის წინააღმდეგ. 30-60 კუბური სანტიმეტრი შრატი საიმედოდ იცავს ბავშვს ავადმყოფობისაგან. მაგრამ ასეთი დიდი მოცულობის ინიექციის გადატანა პატარა ბავშვისათვის ადვილი როდია. თუ შრატიდან მარტო გამაგლობულინის ფრაქციას გამოვყოფთ, გაცილებით ნაკლები დოზა — 3-6 კუბური სანტიმეტრი იმავე ეფექტს იძლევა.

გამაგლობულინის პრეპარატი აძლიერებს ორგანიზმის მედეგობას დაავადებებისადმი, აჩქარებს ავადმყოფის გამოჯანსაღების პროცესს. ამიტომ უკანასკნელ ხანს მას ძალიან ფართოდ იყენებენ: წითელას, გრიპის, დისპეპსიის, ფილტვების ქრონიკული ანთების და სხვა ინფექციური დაავადებების დროს. გამაგლობულინის დამზადება დონორული სისხლისაგან შეიძლება. მაგრამ მისგან დამზადებული პრეპარატის ერთი დოზა ძალიან ძვირი ღირს. დიდხანს ეძებდნენ მისი თვითღირებულების შემცირების გზებს. გამაგლობულინის საწარმოებლად კარგი ნედლეული გამოდგა მშობიარეთა სისხლი.

გორკის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტში ყოველდღე მიაქვთ ბოთლებით პლაცენტარული სისხლი რუსეთის ფედერაციის ბევრი ქალაქიდან.

გამაგლობულინის წარმოების პროცესი გორკის ინსტიტუტის საამქროში მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებულია. ჰერმეტულად დახურულ რეაქტორებს შემოხვეული აქვს სპირტის ცივი ხსნარის „პერანგები“, რომ ცილამ თავისი ძვირფასი თვისებები შეინარჩუნოს.

რეაქტორებში იწყება ცილის დალექვა. მიმწოდებელი მოწყობილობა ფოტოელემენტის დახმარებით არეგულირებს სპირტისა და დისტილირებული წყლის მიწოდებას. პულტთან მდგომი ტექნოლოგი კონტროლს უწევს ტემპერატურას რეაქტორში.

გამაგლობულინის ნალექს აგროვებენ, ფიზიოლოგიურ ხსნარში აზავებენ, ფილტრავენ და ბოთლებში ასხამენ. ავტომატიკა და მექანიზაცია საშუალებას აძლევს ერთ კაცს ერთდროულად გაუწიოს მომსახურება 400 დოზა პრეპარატის დამზადებას.

შემდეგ დგება სამუშაოს ყველაზე დასაკვირველი ნაწილი — კონტროლი. ჯერ ქიმიურ-სპირტის შემცველობის, ცილის პროცენტის, ფრაქციის სიწმინდის დასადგენად. შემდეგ — ბაქტერიოლოგიური სტერილობისა და უვნებლობის გამოსარკვევად. ამისათვის გამაგლობულინის ნალექს მასაზრდოებელ არეებზე თესავენ. მას ამოწმებენ აგრეთვე ზღვის გოჭებზე, თაგვებსა და ბოცვრებზე. ცხოველებს ტემპერატურას ყოველ საათში უზომავენ ხუთი დღის განმავლობაში. თუ მან თუნდაც ერთი მეათედი გრადუსით აიწია, მთელი სერია საეჭვო ხდება, და ბიოლოგიური კონტროლის განყოფილება ყველაფერს თავიდან ამოწმებს. მხოლოდ ამის შემდეგ გამაგლობულინს ამპულებში ასხამენ.

დაახლოებით ორ თვეს გრძელდება თვითეული პარტია პრეპარატის წარმოების პროცესი. საამქრო თვეში ამუშავებს 5 ათას ლიტრ შრატს. უტილური სისხლიდან მიღებული ერთი დოზა პრეპარატის ღირებულება 5-ჯერ შემცირდა. 1963 წელს საამქრო მილიონ ამპულა გამაგლობულინს გამოუშვებს.

თვითეული იმ ცილათაგან, რომლებსაც ადამიანის სისხლი შეიცავს, ორგანიზმში თავის გარკვეულ როლს ასრულებს. ზოგს გადააქვს მარილი, ზოგს — რკინა, არის ცილები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლის შედედებას, არის შედედების საწინააღმდეგო ცილები. ფიბრინოლიზინი შედედების საწინააღმდეგო ცილებს ეკუთვნის. მას აქვს მეტად ძვირფასი თვისება — ხსნის ფიბრინის ახალ შენადედებს.

მოსკოვის უნივერსიტეტის სისხლის შედედების ლაბორატორიის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გალინა ანდრეენკომ წამოაყენა ლაბორატორიული მეთოდი ფიბრინოლიზინის მიღებისა და გამაგლობულინის წარმოების ნარჩენებიდან. სამმა ინსტიტუტმა: მოსკოვში, გორკისა და ვილნიუსში — ხელი მოჰკიდა ამ მეთოდის ათვისებას.

გორკიში გამოშვებულმა ფიბრინოლიზინმა უკვე გაიარა გამოცდა და კლინიცისტთა მაღალი შეფასება მიიღო. იგი განსაკუთრებით ეფექტურია გამოყენების პირველ საათებში არტერიული, ტვინისა და ფილტვების სისხლძარღვების თრომბოზების დროს, მიოკარდის ახალი ინფარქტის დროს.

უახლოეს ხანში ინსტიტუტი დაიწყებს ფიბრინოლიზინის საწარმოო გამოშვებას. შრატის ნარჩენები შეიცავენ კიდევ ბევრ ძვირფას პროდუქტს, მაგალითად, ალბუმინს. ეს ცილა იცავს სისხლის წონასწორობას ორგანიზმში და კარგად მოქმედებს დამწვრობისას, აგრეთვე ბევრი სისხლის დაკარგვისას. იგი სისხლის გადასხმის მაგივრობას ეწევა.

ალბუმინის მიღების ძირითადი წყაროა ვენოზური სისხლი. მაგრამ ეს ძვირადღირებული ნედლეულია. გორკის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტი, ისევე როგორც ამ პროფილის სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი, აწარმოებს მუშაობას გამაგლობულინის წარმოების ნარჩენებიდან ალბუმინის გამოსაყოფად.

როცა ადამიანის ორგანიზმი გამოფიტულია ავადმყოფობით და კვება ესაჭიროება, ქირურგებს სისხლში შეჰყავთ ამინსისხლა. იგი შეიცავს ამინმჟავებს (მათგან ორგანიზმში იქმნება ცილა), გლუკოზას, ანტიბიოტიკებს.

სისხლის გადასხმის სადგურებში ამინსისხლას ერითროციტებისაგან ამზადებენ. ახლა გორკელმა მეცნიერებმა ამინსისხლაც ლაბორატორიულ პირობებში მიიღეს გამაგლობულინის წარმოების ნარჩენებიდან.

ვ. ტრისვიატსკაია.

საბჭოთა გოლიათების ტრიუმფი

სტოკჰოლმის „ერიკსდალს-ჰალეს“ სპორტული დარბაზის ფიცარნაგზე მიწყნარდა ძალოსანთა დიდი პაექრობა — მსოფლიოსა და ევროპის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება.

უკანასკნელ დღეს გაიმართა გოლიათთა, ანუ მძიმე წონის სპორტსმენთა ასპარეზობა. მსოფლიოში ყველაზე ღონიერი კაცის ი. ვლასოვის გამოჩენას ფიცარნაგზე მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. ამავე წონაში გამოდიოდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ნ. შემანსკი, უკრაინელი ლ. ჟაბოტინსკი და სხვ.

მთავარი ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის სწორედ ამ სამეულში წარიმართა. **აკვრაში ფენომენალური შედეგი — 212,5 კილოგრამი აჩვენა ი. ვლასოვმა და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. მანვე სამჭიდში შეაგროვა 557,5 კილოგრამი და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ი. ვლასოვის ეს შედეგიც ახალი მსოფლიო რეკორდია.**

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ნ. შემანსკიმ სამჭიდში 537,5 კილოგრამი მოაგროვა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ლ. ჟაბოტინსკი ამერიკელს 10 კილოგრამით ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ ატაცში მან აჩვენა 167,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამრიგად, სსრ კავშირის ძალოსანთა გუნდმა მეცხრეჯერ მოიპოვა მსოფლიოს პირველობა. საბჭოთა შტანგისტებმა მოიპოვეს 3 ოქროს, ერთი ვერცხლის, სამი ბრინჯაოს მედალი და 38 ქულა შეაგროვეს.

ხარკოვის ნახევარფინალი

საქართველოს წარმომადგენლები ოსტატი გურგენიძე და კიკიანი გამოდიან ხარკოვის ჯგუფში. როგორც გუშინ ხარკოვიდან ტელეფონით გვაცნობეს, აქ უკვე გათამაშდა შვიდი ტური, გავლილია ბრძოლის ნახევარი. ჩვენმა მოჭადრაკეებმა უკანასკნელ ორ ტურში თითო ქულა ჩაიწერეს აქტივში და თითო პარტია გადადეს.

ხარკოვის ჯგუფში ლიდერები არიან სპასკი და ლუტიკოვი, რომლებსაც შვიდი ტურის შემდეგ ხუთ-ხუთი ქულა აქვთ. კიკიანს 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს უარეს მდგომარეობაში, გურგენიძეს — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია საყაიმო მდგომარეობაში.

კაპაბლანკას ხსოვნის ტურნირზე

ჰავანა, 14 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა მე-13 ტური. ტალმა თეთრებით მწვავე შემტევ სტილში წარმართა ესპანური პარტია ლეტელიეს წინააღმდეგ და სწრაფად გაიმარჯვა. გელერმა შავებით ძველინდურ დაცვაში მოუგო კერესს. კორჩნოიმ მწვავე კომბინაციურ სტილში დაამარცხა რობაჩი. ბობოცოვმა მოუგო ბროდერმანს, კობომ — კალეროს. ყაიმით დამთავრდა დარგა — ო'კელის, დე გრეიფ — ტრიფუნოვიჩის პარტიები.

ქუთაისელთა ფრე

უკანასკნელ სამ მატჩში ზედიზედ წარუმატებლობა და სატურნირო ცხრილში მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება — აი რით წარსდგნენ გუშინ ქუთაისის ტორპედოელები ხარკოვში „ავანგარდის“ წინააღმდეგ.

დიახ, ეს იყო მეტად პასუხსაგები, უფრო სწორად გარდატეხის პაექრობა. მართლაც რომ ტორპედოელებმა ასპარეზობა ძალთა მთელი მობილიზებით, მონდომებით, შემტევ სტილსა და მაღალ ტემპში ჩაატარეს.

45 წუთი ისე ამოიწურა, რომ მოწინააღმდეგეებს ბურთი არ გაუტანიათ.

მეორე ტაიმი მეტი ეფექტური გამოდგა, მისი სანახაობითი მხარე და შედეგიანობაც უფრო სრულყოფილი იყო. ანგარიში ქუთაისელებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-11 წუთზე, მასპინძელთა შეცდომით კარგად ისარგებლა სირაძემ... და „ავანგარდი“ იძულებული იყო ცენტრიდან დაეწყო თამაში.

სტუმართა ეს წარმატება დიდხანს არ გაგრძელებულა. ახლა კი ქუთაისის მცველთა ყურადღების ოდნავი მოდუნება კარგად გამოიყენა კოსტიუკმა და საპასუხო ბურთი გაიტანა.

დარჩენილმა წუთებმა ბრძოლას მეტი სიმწვავე შემატა, ანგარიში კი უცვლელი დარჩა, საბრძოლო ფრე — 1:1.

გუშინ სტადიონებზე

ჩანს „სპარტაკს“ განზრახული აქვს წელსაც დაიმკვიდროს ჩემპიონობა. მართალია, გუშინ მათ კიევის „დინამოსთან“ წააგეს პირველი ტაიმი 0:1, მაგრამ მეორე ნახევარში ნეტომ, ლოგოფეტმა და სევიდოვმა სამი გოლით უპასუხეს.

ლენინგრადის „ზენიტს“ ამ ბოლო დროს საკუთარ მოედანზე ქულების დაკარგვა დასჩემდა. გუშინ დედაქალაქის ტორპედოელებთან მატჩში მათ არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ, მაგრამ არც „ტორპედოს“ შეუწუხებია დიდად თავი. „გროსმაისტერული ყაიმი“ — 0:0.

აუტსაიდერები ფინიშთან საშიშები გახდნენ, როგორც იტყვიან, მწარედ იკბინებიან. ასე იყო გუშინაც, როდესაც განაწყენებულმა „პახტაკორმა“ მოულოდნელი დამარცხება (5:2) აგემა „ლოკომოტივს“.

დონეცკის „შახტიორი“ სულ უფრო „სტუმართმოყვარე“ გახდა. გუშინ მათ ორი ქულა გაატანეს სახლში „ნეფტიანიკს“ საკუთარ კარში მიღებული ერთი გოლის ფასად.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

15 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის — ღვევა (დღისით, 11 ს. და 30 წ. მე-6 აბონ. მე-7 წარმოდგენა), ქუთათურები (საღამოს, მე-100 წარმოდგენა აბონემენტს გარეშე), **რუსთაველის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (დღისით 12 ს.), **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლხეთის ცისკარი (დღისით, 23-ე აბონ. მე-7 წარმოდგენა), უსახელო ვარსკვლავი (საღამოს, მე-2 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (დღისით), აფროდიტეს კუნძული (საღამოს), **ფილარმონიის საზაფხულო** — ციმბირის მუზიკ-ჰოლის მუსიკალური საესტრადო-საცირკო წარმოდგენა.

ტელევიზია

15 სექტემბერი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“ (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.15 — მხატვრული ფილმი „ქარის წისქვილი“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.45 — კინონარკვევი „ჩემი ტაშკენტი“, 19.05 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შურისძიება“, 19.55 — საესტრადო კონცერტი „იმათთვის, ვინც შინ დარჩა“, 20.20 — მხატვრული ფილმი „რომაელი ჟურნალისტი“ (I-II სერია).

16 სექტემბერი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის — „აბა გამოიცანით“, 18.25 — „სკოლების დასახმარებლად“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — კინონარკვევი — „ჰექტარზე 150 ცენტნერი სიმინდის მარცვლისათვის“, 19.00 — გადაცემა — „ჩვენი კალენდარი“, 19.35 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „როცა ჩვენ ვჩქარობთ“, 19.55 — გადაცემა — „მეცნიერთა დიდი ფორუმი“, 20.25 — კინოჟურნალი, 20.35 — კონცერტი, 20.55 — მხატვრული ფილმი „გოგონები“ (ქართული ვარიანტი), 22.35 — ახალი ამბები.

კინო

15 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის, ისანი (საზამთრო) — შესანიშნავი შვიდეული, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, თანამგზავრი, კომუნარების ბაღი, ნაკადული** — მამაკაცი ჩვენს სახლში, **ამირანი** (საზაფხულო) — განკიცხულნი (I-II სერია), **ოქტომბერი** — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, **ისანი** (საზაფხულო) — საშა, **თბილისი** — დედა, მამა, ჩემი ცოლი და მე, **კომკავშირელი** — აღმოსავლეთის ქალები, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოსმოსი, საქართველო** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **მზიური** — ერთხელ აღრიან შემოდგომაზე, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — სამი მუშკეტერი (I-II სერია), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ვერაგობა და სიყვარული, **კოლმეურნე** — მესამე რაკეტა, **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, ვაკის პარკი** — მზიური ველის სერენადა.

რადიო

16 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართველ კომპოზიტორთა პიესები საფორტეპიანო ტრიოსათვის, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები, 09.20 — ქართული საოპერო მუსიკა, 11.15 — ჩაიკოვსკი. საფორტეპიანო სონატა რე-მაჟორი და რომანსები, 12.10 — საუბარი — „იდეური რწმენა მასების შემოქმედებითი აქტივობის წყაროა“, 12.25 — კონცერტი მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით, 13.40 — ყირგიზული მუსიკა, 17.15 — ა. მაჭავარიანის კამერული ნაწარმოებები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — ლირიკული სიმღერები, 19.30 — საუბარი — „ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონი“, 20.15 — კონცერტი ი. ტუსკიას ნაწარმოებებიდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — კონცერტი-საუბარი — „პეტრე ამირანაშვილი“, 22.10 — რ. როჟდესტვენსკის პოემა „რეკვიემი“, 23.30 — საესტრადო მუსიკა.

მეორე პროგრამით

20.00 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.25 — საუბარი — „პროპაგანდისტი ცენტრალური ფიგურაა პარტიული განათლების ქსელში“, 20.40 — ხაჩატურიანი. მეორე სიმფონია და „ოდა სიხარულისა“, 21.30 — ვ. ბარნოვი. „ისნის ცისკარი“ (ნაწყვეტი რომანიდან).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 პ/მ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

უე 11605

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.